# ლელო

№ 80
(11 229)

9 – 12 ოქტომბერი, 1998 წ. ფასი 30 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# ხვალ, რიგაში!

**ხვალ, 10 ოქტომბერს, რიგაში, „დაუგავას" 5-ათასიან რეკონსტრუირებულ სტადიონზე რუმინელი არბიტრის კონსტანტინუ ზოტას სასტვენზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფის ლიდერები — ლატვიისა და საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრებები.**

ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა რევაზ ძოძუაშვილმა და ვლადიმერ გუცაევმა რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი მოისაკლისა (მასპინძელთაგან – მცველი არტურს ზაკრეშევსკისი, სტუმართაგან – თავდამსხმელები ზაზა ჯანაშია, არჩილ არველაძე, ალექსანდრე იაშვილი), მიუხედავად ამისა, ისინი ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალ პაექრობას. მიმომხილველთა აზრით, სტუმართა გუნდი მეტი გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მათ ოსტატობას ლატვიელები ყინსა და ბრძოლისუნარიანობას დაუპირისპირებენ. თან იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მასპინძელთა ნაკრებს სათავეში უდგას ჩვენი თანამემამულე რევაზ ძოძუაშვილი, რომლის ხელშიც დაოსტატდა ქართველ ფეხბურთელთა მთელი პლეადა. მან კარგად უწყის ჩვენების ძლიერი და სუსტი მხარეები. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს ძალიან ძნელი ბრძოლის გადატანა მოუწევს.

მომავალი მატჩის სავარაუდო შემადგენლობები ასეთია.

**ლატვია:** ოლეგ კარავაევსი, იურის ლაიზანსი, ვიქტორს ლუკაშევიჩსი, მიხაილ ზემლინსკისი, ვალერის ივანოვსი, იმანტს ბლეიდელისი, ვალდიმირ ბაბიჩევსი, ანდრეის შტოლცერსი, ალექსეის შარანდო. მარიან პახარსი, როლანდს ბალდერისი.

**საქართველო:** დავით გვარამაძე, გელა შეყილაძე, მურთაზ შელია, კახი კალაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, მიხეილ ყაველაშვილი, შოთა არველაძე.

შეხვედრა ადგილობრივი დროით 18 საათსა და 30 წუთზე (თბილისში 19 საათი და 30 წუთი იქნება) დაიწყება. ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, ნახავენ თუ არა მას ქართველი ტელემაყურებლები. „ლელოს" წინა ნომერში სფფ-ს საერთაშორისო განყოფილების თანამშრომლის დავით ნამგალაძის ინფორმაციაზე დაყრდნობით გაცნობებთ, რომ „ევროსპორტს" განზრახული აქვს გადმოსცეს პირდაპირი ტელერეპორტაჟი რიგიდან. ახლა ირკვევა, რომ „ევროსპორტი" მატჩების მხოლოდ მოკლე მიმოხილვას გეგმავს. გაითვალისწინა რა ქართველი გულშემატკივრების დიდი ინტერესი მომავალი მატჩისადმი, ტელეკომპანია „რუსთავ-2"-მა გადაწყვიტა შეისყიდოს მისი ტრანსლაციის უფლებები. რამდენად გამოვა ეს ამბავი, ჯერჯერობით უცნობია (მოლაპარაკება გუშინ სალამოსაც გრძელდებოდა).

## კანდელაკი ამერიკელ მოკრივეს ელოდა, ბულგარელი კი შერჩა ხელთ



**გიორგი კანდელაკი 11 ოქტომბერს უკვე მესამე ბრძოლას მართავს პროფესიულ კრივში და, უკვე მესამედ, თავისი მეტოქის ვინაობას ორთაბრძოლამდე ბოლო მომენტში იგებს. ასე იყო პროფესიონალებში მისი სადებიუტო შეხვედრისას — ინგლისში ჩასვლისას გაიგო გიორგიმ, რომ ვინმე იქაურ ტომ უილიამსს უნდა შეხვედროდა და მეორე დღესვე რინგზეც გადაეყარა. ამერიკელი სტივ არჩერიც ლამის რინგზე გაიცნო გიორგიმ. ღვთის წყალობით, ორივე მეტოქეს სცემა კანდელაკმა. მესამე მეტოქე კი გუშინწინლა გახდა ცნობილი, ესეც შეხვედრამდე 3 დღით ადრე — კანდელაკის მესამე გაბრძოლება ბულგარელი მოკრივე სპას სპასოვი იქნება.**

სპას სპასოვის ავან-ჩავანი, თუ ჩვენში ზედმეტად კირკიტა თითო-ოროლა კრივის ქომაგს არ ჩავთვლით, ალბათ არავინ იცის. ვის რა მოვკითხო, როცა თავად კანდელაკსაც არაფერს ეუბნება ამ ბულგარელის გვარ-სახელი.

● *გიორგი, რა კაცია — სპას სპასოვი?*

— კომბლებსა სთლის და ჰერში აწყობს... აბა, რა ვიცი, ის კი ვიცოდი, ბულგარელს რომ ვხვდებოდი, მაგრამ სპასოვი თუ იყო, არ ვიცოდი. ამ მოკრივისა არაფერი მსმენია, არც ადრე მოყვარულებში გადავყრივარ სადმე. რაკი ბულგარელია და არა ამერიკე-


*იხ. მე–5 გვ.*


## უეფამ თასების თასი გააუქმა, რამაც, პირველ რიგში, ალბათ, ბათუმელები ჩააგდო საგონებელში

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა სენსაციური ამბავი გაავრცელეს – მომავალი სეზონიდან თასების მფლობელთა თასმა ჭირი მოგჭამათ. უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის განცხადებით, ეს ყოველივე უეფას თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე მოხდება. გარდა ამ სიახლისა, არის კიდევ ერთი – მომავალი წლიდან ჩემპიონთა ლიგა 24 კლუბიდან 32-მდე გაიზრდება.

ჩემპიონთა ლიგისა რა მოგახსენოთ (თუ ქართულმა ფეხბურთმა ასეთი ტემპებით იარა, იქ მოხვედრას ვერასდროს ველირსებით), მაგრამ თასების მფლობელთა თასის გათამაშების გაუქმება, პირველ რიგში, ალბათ, ბათუმელებს ჩააგდებს საგონებელში – ისინი ხომ ბოლო 4 წელია ამ შეჯიბრში მონაწილეობენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულმა კლუბებმა უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად იასპარეზეს წლევანდელ ევროტურნირებში და საქართველოს საკლუბო ფეხბურთის რეიტინგი კონტინენტის 50 ქვეყნიდან სადღაც მეოთხე ათეულში იქნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაისად მხოლოდ ორი ჩვენი კლუბი ითამაშებს ევროპის საკლუბო ტურნირებში. ვინ იქნებიან ეს გუნდები — თბილისისა და ბათუმის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო", ფოთის „კოლხეთი"?

## ბარსელონაში, მოსკოვში და ბირმინგემში

**ტრადიციისამებრ, შემოდგომით უეფა ასახელებს იმ ქალაქებს, სადაც მომავალი წლის მაისში ჩატარდება ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩები. ახლაც ასე მოხდა – უეფამ გადაწყვიტა, რომ ჩემპიონთა თასის ფინალი მოეწყოს ბარსელონაში, „კამპ ნოუზე" (26 მაისი), უეფას თასის – მოსკოვში „ლუჟნიკებზე" (12 მაისი), თასების თასის – ბირმინგემში, „ვილა პარკზე" (19 მაისი). იტყობინებიან, რომ ბარსელონას 20 კონკურენტი ქალაქი ეცილებოდა.**

## რეიტინგი

# 500 ქუთაისელი მხარს უჭერს რამაზ გოგლიძეს




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის მოახლოების კვალდაკვალ იზრდება საზოგადოებრიობის დაინტერესება ამ ფორუმისადმი, მით უფრო, რომ სამამულო საკლუბო ფეხბურთი და ეროვნული ჩემპიონატი, კარგა ხანია, საყოველთაო კრიტიკის საგანი გახდა. რაღა თქმა უნდა, ხალხში გარკვეული აქტივობა შეინიშნება სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაკავშირებით. უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა თითოეულ მათგანზე, რომ ბევრისათვის პირველად გახდა ცნობილი თუ რა გააჩნია სფფ-ს მომავალ პრეზიდენტს დადებითი და რა უარყოფითი. მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, საქმეს, ანუ ქართულ ფეხბურთს ვინ უფრო გა-


*იხ. მე–3 გვ.*




## ბიძინა გეგიძე: სანუგეშო ბურნირზე ლაპარაკიც კი არ გვინდა

„წარმატების მოპოვება სპორტში უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება. ხანდახან ვფიქრობ. იქნებ სულელები ვართ და მარტო ჩვენ გვინდა რაგბი? თუმცა არა, გულშემატკივართა მხარდაჭერა ოპტიმისტურად განმაწყობს — გახსოვთ რუსეთთან გამარჯვება და მაყურებლების ალტაცება? — თქვა ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ. მისი გამოსვლის რეზიუმე — სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე წარმატებაზე ფიქრი არასერიოზული იქნება. „როცა ჩვენს გაჭირვებაზე ვლაპარაკობთ, მარტო უფულობას არ ვგულისხმობთ. არა გვაქვს სავარჯიშო მოედანი და პირობები. კავშირს დიდი ფინანსური გაღლვევა აქვს, რადგან სპორტის დეპარტამენტი ვერ გვაძლევს იმ თანხას, რომელიც ბიუჯეტიდან გამოგვიყვეს, თავის მხრივ დეპარტამენტს ფინანსთა სამინისტრო აფერხებს". პრეზიდენტის თქმით, სადღაც თვე-ნახევარში რაგბზე შეყვარებული ადამიანები თბი-


*იხ. მე–5 გვ.*


## ჩვენი წყალბურთელები ფინალურ ჯგუფში

*გუშინ საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების მოთამაშე მწვრთნელმა ნოდარ ჩოლარიამ „ლელოს" აცნობა, რომ ევროპის პირველობის ფინალურ ჯგუფში ასპარეზობაზე უარი განუცხადებია ბულგარეთის ნაკრებს, რამაც ფინალისწინა ეტაპზე მომდევნო ადგილზე გასულ საქართველოს გუნდს მექანიკურად გაუხსნა გზა ფინალურ ჯგუფში.*

*ცხადია, ეს ცნობა სასიხარულოა, მაგრამ... სამწუხაროცაა — უსახსრობით შეჭირვებულ სპორტის დეპარტამენტს ამ ამბავმა თავსატეხი გაუჩინა, გამოინახება კი სახსრები ჩვენი ნაკრების მისავლინებლად?*



## კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**ვერის ბაღში II ტურის მატჩები გაიმართა.**

**თსუ — სდასუ (თბ.) 83:70**

**თსუ:** მგალობლიშვილი (17), გელაშვილი (3), წოწელია (21), ცქიტიშვილი (17), ხელაშვილი (7), არსიაშვილი (2), მშვილდაძე (3), ვეფხვაძე (8), ქარჩავა, მარკოიშვილი (5).

**სდასუ:** არჩვაძე, ჩხეიძე (23), გიგაური (4), გიგაშვილი (6), მაჭარაძე (5), ხარაძე, ახობაძე (8), გულხადარაშვილი, აბულაძე (20), ქევხიშვილი (4).

მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, ზურაბ აბაშიძე.

ამთავითვე უნდა ითქვას, ჩემპიონატის სასტარტო მატჩების მთავარი სენსაცია შარშანდელი პრიზიორის — სდასუ-ს წარუმატებელი გამოსვლაა.


*იხ. მე–5 გვ.*


## ქუთათურთა სპორტული მატიანე

*რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯაპარიძე*

# კალათბურთი ქუთაისში

**პირველი წერილი**



*1931 წელი. ქუთაისელ კლათბურთელ ქალთა პირველი გუნდი (შეიქმნა 1929 წელს): საშურა შალამბერიძე, ქეთინო ცირეკიძე, ნადიკო ნიქაბაძე, მარგარიტა ამირანაშვილი და ნინიკო იოსელიანი.*

რიონისპირა ქალაქში კალათბურთის ჩასახვას და განვითარებას საინტერესო ისტორია გააჩნია. 73 წლის წინათ, ეგრეთ წოდებული „მესამე ლეგიონის" ეზოში პირველი პრიმიტული კალათბურთის ხის ფარი აღიმართა, ენთუზიასტები ლეგენდარული გივი კილაძის თავკაცობით ეცნობოდნენ მათთვის უცნობი სპორტის ახალი სახეობის ანბანს.

1926 წლისათვის ქალაქში რამდენიმე კალათბურთელთა გუნდი არსებობდა, რომლებმაც იმავე წლის შემოდგომაზე პირველი საქალაქო პირველობა გაითამაშეს. „მესამე, ლეგიონის" პირველ, მეორე, მესამე აგრეთვე „ტრიუმფისა" და პროფბიუროს კალათბურთელები, ხუთ დღეს იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისათვის, ცნობილია მისი ტექნიკური შედეგები: „მესამე ლეგიონის" I გუნდმა ანგარიშით 16:4 სძლია II გუნდს. „ტრიუმფმა" 5:3 დაამარცხა პროფბიუროს კალათბურთელები, ხოლო „მესამე ლეგიონის" I გუნდმა ანგარიშით 29:0 დაამარცხა პროფბიუროს გუნდი.

მაშინდელი თამაშების წმინდა ტექნიკური ანგარიში დღეს ღიმილს იწვევს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აღნიშნული მატჩები შვიდი ათეული წლის წინათ იმართებოდა, მაშინ, როდესაც კალათბურთი ის-ის იყო ფეხს იკიდებდა ჩვენში და, აქედან გამომდინარე, ამ საქმის ენთუზიასტებს ვერ მოვთხოვთ მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას, ყოველივე ეს დროის და მომავლის საქმე იყო.

ქუთაისში პირველი კალათბურთელები იყვნენ: გივი კილაძე, გიორგი შხვაცაბაია, აკაკი მამრიკიშვილი, შალვა იმედაძე, ვალოდია რობაქიძე, გოგი გოქსაძე, პეტრე კილაძე, პეტრე ჯაფარიძე, ჯაჯუ მამრიკიშვილი და სხვები. დაზუსტდა, რომ ჩვენი ქალაქიდან პირველი მსაჯები იყვნენ და ოფიციალურ შეხვედრებს სჯიდნენ პეტრე და გივი კილაძეები, ნიკოლოზ გვარამაძე, პეტრე ჯაფარიძე, გ.


*იხ. მე–3 გვ.*

## სოფლის და გამგებლის სპორტული პროფილი

# შაშიანი დაიბრუნებს ტრადიციებს

**ჯემალ ბიწკინაშვილი დაიბადა 1944 წელს. გამოდიოდა ძალოსნობაში, იყო საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი, შეიარაღებული ძალების პირველობის პრიზიორი. 1973 წელს დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 4 წელი იმუშავა გურჯაანის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, შემდეგ იყო ოპერმუშაკი, სკოლის დირექტორი, შაშიანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ამჟამად ამავე სოფლის გამგებელია.**



სპორტული მუშაკების საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე დაწინაურება, ბოლო წლებში, იშვიათი შემთხვევა როდია. ამ ხალხმა სხვებზე უკეთ იციან სიძნელეებთან ბრძოლა, გონივრულად მიდიან მიზნისკენ, არ აწუხებთ ამბიციები და ა.შ. ჯემალ ბიწკინაშვილი მუდამ გამოირჩევა ინტელიგენტურობით, არის გულთბილი და ღია პიროვნება, შეუძლია გაუგოს ადამიანებს და გაითავისოს მათი სატკივარი. ბოლოს და ბოლოს, დღევანდელ ღია კონკურენციის პირობებში, სოფლის, თანაც ისეთი დიდი და კახეთში ერთ-ერთი გამორჩეული სოფლის თავკაცობა, როგორიც შაშიანია, არც ისე იოლი მისაღწევია და არც მისი გაძღოლაა ადვილი საქმე. ჯემალმა საერთო სიყვარულით მოიპოვა ეს უფლება და არც სიძნელეებისა ეშინია.

● *ბატონო ჯემალ, შაშიანი ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ სოფლად ითვლებოდა არა მხოლოდ კახეთში, არამედ მთელ საქართველოში. თქვენზე უკეთ ვინ იცის თუ რა დაიკარგა და რა დარჩა. რა პერსპექტივები აქვს სოფელს და რას ეყრდნობა ოპტიმიზმი?*

— დავკარგეთ ბოლო წლებში, მართლაც ბევრი დაიკარგა. სკოლის სპორტული დარბაზიც კი ხანძარმა შთანთქა. მოგეხსენებათ სოფლად სკოლის როლი. და მაინც, სპორტი მთლად არ ჩამკვდარა, ბიჭები მეზობელ სოფლებშიც დადიან და ამხანაგურ შეხვედრებს მართავენ. ჩვენთან ტრადიციულად ჭიდაობას და ძალოსნობას ჰყავდა ყველაზე მეტი მიმდევარი. ახლა ამ ტრადიციების სრული აღდგენა გვაქვს დასახული მიზნად.

● *კი მაგრამ, უდარბაზოდ, როგორ აპირებთ ფონს გასვლას?*

— დარბაზს ავაშენებთ. პარლამენტში პაატა ჩეკურიშვილი აქტიურად გვეხმარება. იგი ჩვენი მკვიდრია და, ბუნებრივია, გული შესტკივა. იგი ახლა სოფლის ეკლესიის რესტავრაციას შეფობს, შემდეგ კი სკოლის სპორტდარბაზს მიხედავს, მთელი სოფელი დავუდგებით მხარში. მოსაწესრიგებელი გვაქვს მარტივი სპორტული მოედნები, ჯერჯერობით ყველაზე დატვირთული მხოლოდ ღია საჭიდაო არენაა, ჩვენი ფალავნები მეზობელ სოფლებშიც ცდიან ხოლმე ხერხს და ძალას.

● *კარატე ყველგანაა მოდებული და ამაში ცუდი, ცხადია, არაფერია. შაშიანელებს ვეღარ ვხედავთ შეჯიბრებებზე...*

— მოხდა ისე, რომ კარატეს ჯგუფები ჩვენთან დაიხურა. იყო ამის მიზეზები, მაგრამ ახლა იგი კვლავ აღდგება, მსურველები სოფლის კულტსახლში გააგრძელებენ მეცადინეობას.

● *რამდენადაც ვიცით, დღეს გამგებელს მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ადრე საბჭოს თავმჯდომარეს ჰქონდა, იქნებ ასე არ არის...*

— დიახ, ასეა. ახლა გადაწყვეტილებების უფრო თავისუფლად მიღებისა და მოქმედების მეტი საშუალება გვაქვს, მაგრამ ნაკლებია მატერიალური შესაძლებლობები, თუმცა, გვჯერა, რომ ეს დროებითია. ხალხიც მიხვდა, რომ მათივე ბედი, მათ ხელთაა... იმედი მაქვს შაშიანი ისევ აღორძინდება, აღორძინდება მისი სპორტული პროფილიც.

ესაუბრა
თ. თომაშვილი

# საქართველო SPORT EUROPE-ს ფურცლებზე




ეს ჟურნალი ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური გამოცემაა და იგი ხშირად აქვეყნებს მასალებს კონტინენტის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებში მიმდინარე პროცესებზე. ამჯერად ჟურნალის მე-40 ნომერში დაფიქსირებულია წლეულს, აპრილ-მაისში თბილისში ლიტვის ეოკ-ის პრეზიდენტის არტურას პავილიუნასის და გენერალური მდივნის პოვრას სტატუტას სტუმრობა, რომლის დროსაც, გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება სეოკ-სა და ლეოკ-ს შორის სპორტის სფეროში მომავალში ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობის თაობაზე. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანსუღ ბაგრატიონმა. სურათზე, რომელიც ზემოხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ტექსტს ახლავს, სწორედ ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოწერის მომენტია დაფიქსირებული.



## ქართული სპორტის მყობადი

# ოლიმპიადაზე მეოცნებე ბიჭი

**ამას ყველაზე დიდი ოპტიმისტიც ვერ წარმოიდგენდა — 5 ქართველი მოკრივე გაემგზავრა საბერძნეთს და იქიდან, როგორც „ლელო" უკვე იტყობინებოდა, 4 მედლებით დაგვიბრუნდა. კობა გოგოლაძისაგან ვინ არ ელოდა მედალს, მაგრამ კობას ევროპის თასს თუ კიდევ სამი მედალი დაემატებოდა, ამაზე მხოლოდ ვოცნებობდით. გოგოლაძეს ვაჟკაცურად აუბეს მხარი ვლადიმერ ჭანტურიამ, დავით ხურცილავამ, ზაზა კუჭავამ და ათენიდან ქართული სპორტული დელეგაცია ხელდამშვენებული დაბრუნდა.**

ზაზა კუჭავა და კობა გოგოლაძე „ლელოს" რედაქციას ესტუმრნენ. ზაზა ინტერვიუზეც უყოყმანოდ დაგვთანხმდა.

● ***ზაზა, გილოცავ ევროპის თასის პრიზიორობას, ვიცი, საქართველოს ნაკრებში პირველად გამოხვედი, თან ასეთი წარმატებით. ელოდი ამ გამარჯვებას?***

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ადრე ვვარჯიშობდი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორიც ვარ. ეს კუბაში, 1996 წელს მოვახერხე. უფროსთა ეროვნულ გუნდში კი ეს ჩემი დებიუტი იყო და ევროპის თასზე კვლავ მესამე ვიყავი... სიმართლე გითხრა, ველოდი კიდეც, რადგან წასაგებად არსად მივდივარ.

● ***რამდენი ბრძოლა გამართე საბერძნეთში?***

— სამი შეხვედრა ჩავატარე ათენში — აზერბაიჯანელ, უკრაინელ და ბერძენ მოკრივეებთან. პირველი ორი შეხვედრა მოვიგე, მესამეში კი დავმარცხდი ბერძენ მურატიდისთან — 4:6.

● ***მსაჯი ხომ არ მიემხრო მასპინძელს?***

— არა, არ მიმხრობია, ალალად წავაგე, ჩემი შეცდომების გამო. ახლა რომ მაკრივა მურატიდისთან, უეჭველად მოვიგებ, ათენში კი მაჯობა.

● ***ყველაზე მეტად რომელი ორთაბრძოლა გაგიჭირდა?***

— მარცხი თავისთავად გასაჭირია. ისე, აზერბაიჯანელთან შეხვედრისას მართლა გამიჭირდა. ძლიერი მოკრივე იყო, თუმცა, ბოლოს კარგად მოვუგე — 6:3.

● ***კრივში როგორ მოხვდი?***

— მამაჩემი შალვა კუჭავა მოკრივე იყო, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, ახლა კი მწვრთნელია. ასე რომ, თუ სპორტის რომელ სახეობაში დამეწყო ვარჯიში, დიდი არჩევანის წინაშე არ დავმდგარვარ. ჯერ მამაჩემი მწვრთნიდა, ახლა კი რუბენ ქიქავა მავარჯიშებს, რომელიც ჩემი ბიძაც არის დედის მხრიდან.

● ***რამდენი წლისა ხარ?***

— 21 წლის.

● ***რამდენიმე ფოთელ მოკრივეს ვიცნობ. სიმართლე გითხრა, აქამდე შენი ვინაობა არ ვიცოდი...***

— იმიტომ, რომ ორი წელია არსად არ გამოვსულვარ. 1996 წელს ახალგაზრდულ გუნდში ვიყავი, იმავე წლის ზაფხულში შვილი დამეღუპა — წლინახევრის მეგი და ორი წელია ხელი არ გამიქნევია. ახლახა დავიწყე ვარჯიში, ადრე, აბა რა მესპორტებოდა.

● ***შენი უპირველესი ქომაგები ვინ არიან?***

— რა თქმა უნდა, ჩემი მწვრთნელი, მშობლები და ჩემი მეუღლე — ეკა წურწუმია.

● ***გუნდური ჩემპიონატი ვინ მოიგო საბერძნეთში?***

— რუსეთის ნაკრებმა, მეორეზე უკრაინელები გავიდნენ, მესამეზე — ბერძნები. ჩვენ მეოთხენი ვიყავით. თან, გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ნაკრებში მხოლოდ 5 მოკრივე გამოვდიოდით და 15 გუნდში მეოთხე ადგილზე გავედით, ეს მაშინ, როცა 7-8 გუნდი ყველა წონითი კატეგორიით იყო წარმოდგენილი — 12-12 კაცით.

● ***სამოყვარულო კრივში თუ ვინმე რამეს მიაღწევს, ყველას პროფესიონალებისაკენ გაურბის თვალი. შენც ხომ არ მიგიწევს იქითკენ გული?***

— სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ გადაწყვეტილი მაქვს, რომ გადავიდე პროფესიონალებში.

● ***ესე იგი, ოლიმპიადაზეც ოცნებობ, არა?***

— რა თქმა უნდა. ძალიან მინდა, სიდნეიში ვიასპარეზო. გაისად იწყება ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები და ჩემპიონატები, თავს არ დავზოგავ, რომ ლიცენზია მოვიპოვო.

● ***შენი მოკრივე-კერპიც გეყოლება.***

— პროფესიონალებიდან მაიკ ტაისონი მომწონს, მოყვარულთაგან — ფელიქს სავონი.

● ***ჩვენებურთაგან?***

— კობა გოგოლაძე. მომწონს კობას შემართება და ლამაზი ჩხუბი.

● ***ოლიმპიადამდე დიდი დროა. მანამდე რას აპირებ?***

— გაისად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებია. მინდა, ორივეგან ვიასპარეზო და წარმატებითაც.

● ***ეს ევროპის თასის გათამაშება თემურ კუტივაძის დებიუტი იყო, როგორც საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელისა. რას იტყვი ბატონ თემურზე?***

— შესანიშნავი ადამიანი და მწვრთნელია. გულისხმიერი და კრივის მცოდნე კაცია. გუნდში ყველა პატივს სცემს, ჩვენთან მეგობრობს და თან ისე, რომ საქმეც კეთდება — საქმესა და საკეთებელს დროულად გთხოვს.

● ***შენს წონაში კონკურენციის ხომ არ გეშინია?***

— არა, 75 კილოგრამში არ მეგულება ჩემი სერიოზული კონკურენტი მოკრივე საქართველოში. ჯერ ასეა და ღმერთმა ქნას, გამოჩნდეს ვინმე, ვინც სერიოზულ კონკურენციას გამიწევს.

ესაუბრა
გია გიორგაძე



კობა გოგოლაძე (მარცხნივ) და ზაზა კუჭავა „ლელოს" რედაქციაში

## ჯანმრთელობის კუთხე

თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

# მასაჟი — მკურნალი

მასაჟს ძველი დროიდან იყენებენ, როგორც დაღლილობის მოხსნისა და ენერგიის აღდგენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას და დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, საერთოდ, აუმჯობესებს ჯანმრთელობას, კარგია, როცა მასაჟს აკეთებს სპეციალისტი, მაგრამ ცალკეული მოძრაობები შეგიძლიათ თავადაც შეასრულოთ. ამჯერად წერტილოვანი მასაჟის შესრულების წესს გთავაზობთ. ნახატზე მოცემულია ორგანიზმზე მოთავსებული წერტილები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან თავის ტკივილთან. აღნიშნულ წერტილებზე რიგრიგობით უნდა დააწვეთ თითით, რაც შეიძლება ღრმად, სრესით და ღონივრად 1-1,5 წუთის განმავლობაში უწყვეტად, ბოლოს თითი უნდა მოაშოროთ სწრაფად.





## პოლიტიკური პარტიები — სპორტს!

# ქუჩის ფეხბურთის ჩემპიონატი

სწორედ ასე უწოდეს დედაქალაქის მთაწმინდის რაიონის ბავშვთა საფეხბურთო ტურნირს, რომელმაც შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, მართლაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია, როგორც თვით ბავშვებში ისე ოჯახებში, მეზობლებში და უბნებში. მარტო ჩაცმულობაზე შეატყობდით, რა მონდომებით შეხვდნენ მოზარდები და მათი გულშემატკივრები ამ ტურნირს. ზოგიერთს ისეთი ფორმა ეცვა, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის ბევრ კლუბს შეშურდებოდა.

ტურნირში ჩაება 10 გუნდი, რომელთა შორის იყვნენ... ნიგერიელებიც, ის ბავშვები, რომელთა ოჯახები ნიაღვრის ქუჩაზე ცხოვრობენ და მშობლები ჩვენს სხვადასხვა ფირმებში მუშაობენ.

ფინალში სოლოლაკის ორი გუნდი დადგა ერთმანეთის პირისპირ — პირველი სულხან-საბას ქუჩიდან იყო, მეორე — გ. ქიქოძის ქუჩიდან. 3-2 გაიმარჯვეს სულხან-საბას ქუჩელებმა და სანუკვარი თასიც მათ ხვდათ, ფეხბურთელები კი „ოქროს" მედლებით დაჯილდოვდნენ. ამ გუნდის წევრი ზურაბ არსოშვილი ბომბარდირი გახდა — 14 ბურთი, საუკეთესო მცველის პრიზი კი მის თანაგუნდელ დათო აჭარაძეს გადაეცა. საუკეთესო მეკარედ აღიარეს ლევან ზაქაიძე (ქიქოძის ქუჩა), საუკეთესო მოთამაშედ — დათო პეტრიაშვილი (მთაწმინდა), მაყურებლის სიმპათიის პრიზით დაჯილდოვდა ავთო ჩაჩიბაია. დაწესებული იყო გულშემატკივრის პრიზიც, რომელიც გადაეცა ზაურ რეხვიაშვილს. ტურნირის სპონსორი იყო სოციალისტური პარტია და გამარჯვებულიც ამ პარტიის ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა დააჯილდოვა.

ცოტნე ბაქრაძე

# 500 ქუთაისელი მხარს უჭერს რამაზ გოგლიძეს

(პირველი გვერდიდან)

მოადგება, ვინ უფრო თავდადებით იღვაწებს მათი კეთილდღეობისათვის.

„ლელოს" მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში, უმეტესობა მხარს უჭერს ისეთ კანდიდატურას, რომელსაც ცხოვრებისეული გამოცდილება და ორგანიზაციული ნიჭი გააჩნია, რაც ამ რთულ სფეროს გაძღოლაში დაეხმარება. ხალხი ბრძენია და იცის, რომ მხოლოდ მჟღერ სახელი არ წაადგება საქმეს სასიკეთოდ. ასეთი კრიტერიუმით კი, ჩვენი გამოკითხვით, აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა რამაზ გოგლიძის კანდიდატურას. ალექსანდრე ჩივაძის გადაწყვეტილების შემდეგ, იყაროს კენჭი სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე, საერთო ალტაცება და ერთსულოვნება არ გამოუწვევია, თუმცა, ბევრი თვლის, რომ სწორედ საშა უნდა გახდეს ნოდარ ახალკაცის მემკვიდრე. ბევრსაც ვერ გაურკვევია, თავიდან რატომ თქვა უარი ჩივაძემ თავის კანდიდატურის წამოყენებაზე და ახლა რამ მოუბრუნა გული. დავძენთ, რომ საშას, თავისი კანდიდატურა, ადრე არ დაუსახელებია და, ბუნებრივია, შემდეგ „მოსახსნელიც" არაფერი იყო. აი, ახლა კი ოფიციალურად განაცხადა და იბრძოლებს კიდეც ქართული ფეხბურთის მესაჭის სავარძლისათვის. ჩივაძის „გამოჩენის" შემდეგ უკანა პლანზე გადაიწია ნოდარ ახრიაძის კანდიდატურამ და ახლა ძირითად კონკურენტებად მიიჩნევენ მხოლოდ მერაბ ჟორდანიას, რამაზ გოგლიძეს, ალექსანდრე ჩივაძეს და ილია დათუნაშვილს. როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, საზოგადოებრიობის მინიმუმ ყოველი 100 აზრის გამოხატვის შემდეგ ვაქვეყნებთ რეიტინგს. ამჯერად, რამაზ გოგლიძემ ერთბაშად ხუთი გამოკითხვისათვის საჭირო 500 ხმა მოაგროვა (ცალკეულ ხმებზე არაფერს ვამბობთ). ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, ამჯერადაც, როგორც წინა გამოკითხვაში, ის ლიდერობს. სულ 677 ხმა პრეტენდენტებზე ასე ნაწილდება:

**რამაზ გოგლიძე — 561**
**ალექსანდრე ჩივაძე — 44**
**მერაბ ჟორდანია — 38**
**ილია დათუნაშვილი — 34**

## ღია წერილი ბატონ ალექსანდრე ჩივაძეს

ფეხბურთის გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმიის სახელით, მოგმართავთ თქვენ, ქართული ფეხბურთის დღევანდელ მესაჭეს, ფედერაციის ყრილობის წინა დღეებში.

ფეხბურთს კაცები თამაშობენ. ჩვენ გვინდა, რომ ფეხბურთს კაცებმა უხელმძღვანელონ. პრეზიდენტობის დასახელებული კანდიდატურიდან უპირველესად თქვენ გვეგულებოდით ასეთად. მეხივით გავარდა საფეხბურთო საქართველოში თქვენი უარი.

თქვენ პასუხისმგებლობას არასოდეს გაქცევიხართ, ნურც ამჯერად შეგეშინდებათ მისი. ჩვენ, ფეხბურთზე შეყვარებული ხალხი, ვიქნებით თქვენს გვერდით, ანუ ქართულ ფეხბურთში წესიერების და პატიოსნების მხარდამხარ.

ჩვენ გვესმის, რომ უვნებლად განზე გადგომით თქვენ იმავე წესების დამკვიდრებას ცდილობთ, თქვენი არგუმენტები გაქვთ და თქვენი პოზიცია, რომლის გამოხატვის უფლება ბოლოს და ბოლოს ყველა მოქალაქეს გააჩნია.

მაგრამ იქნებ საზოგადოების ხმასაც უგდოთ ყური; ხალხის სიყვარულს არასოდეს გაქცევიხართ, ნურც ამჯერად გაექცევით.

ნურავის და ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ.

ხალხი ქართული ფეხბურთის მომავალს თქვენს გაპრეზიდენტებას უკავშირებს.

ჩვენ გვჯერა თქვენი.

ფეხბურთის გულშემატკივართა სახელით (სულ 29 ხელმოწერა)

# პრეზიდენტიც ასეთი უნდა – მეკარეს სხვა ფორმა რატომ აცვიაო

*თურმე, შირაქში ერთმა მეცხვარემ კატა ჩამოკიდა — ცხვრებს ბალახი არა აქვთ და კატის ცქერით მაინც გაერთობიან, ზამთარს როგორღაც გადავაგორებთო*

„კაცო, კატის მაგივრად ეგ ბურთი მაინც ჩამოგვიკიდეთ, ეგებ გულს გადავაყოლოთ და გაუსაძლის ცხოვრებისეულ პრობლემებზე აღარ ვიფიქროთ!" — მოსწრებულად თქვა დედოფლისწყაროში, რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ კრებაზე ერთ-ერთმა დელეგატმა...

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ვაჟა ოზაშვილი საფეხბურთო წრეებში ცნობილი ადამიანია — შფოთისა და განუკითხაობის წლებში „შირაქს" თავკაცობდა, ხოლო რას ნიშნავდა იმხანად საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტობა, ალბათ, წარმოგიდგენიათ. კარდაკარ, ხელგაშვერილი დადიოდა რაიონში: მეხუთე ათეული წელია გუნდი არსებობს, ნუ დავშლით, მის ალსადგენად მომავალში დიდი ჯაფა დაგვადგებაო. ავად, თუ კარგად, ოზაშვილმა თავისი მისია შეასრულა — „შირაქი" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობდა და არც თუ ისე ურიგო შედეგს აღწევდა. ერთი კი იყო, სტადიონზე მისული გულშემატკივრები გუნდის მესვეურებს სამართლიანად საყვედურობდნენ — კოლექტივში ბევრი მოწვეული ფეხბურთელია თბილისიდან, რუსთავიდან, აზერბაიჯანიდანაც კი. ეს გარემოება დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ამის გამო, ახალგაზრდა პრეზიდენტს რაიონის ხელმძღვანელობასთან სერიოზული პრობლემები შეექმნა.

ბოლოს და ბოლოს, მაშინ, როდესაც ცხოვრება ნელ-ნელა დაწყნარდა და ადგილობრივმა გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს, აწი, ჩვენს „შირაქს" არაფერი გაუჭირდებაო, კლუბს ხელმძღვანელობა გამოუცვალეს: რაიონის გამგებელმა თემურ ლომაშვილმა ოზაშვილის ადგილი ფეხბურთში აბსოლუტურად გაუთვითცნობიერებელ ადამიანს მამია პოპიაშვილს უბოძა (იმასაც გვიყვებოდნენ, გუნდის თამაშს პირველად რომ დაესწრო, ახალმა პრეზიდენტმა გაკვირვებულმა იკითხა, მეკარეს სხვა მოთამაშეებისაგან განსხვავებული ფორმა რატომ აცვიაო). როგორც ამბობენ, სწორედ აქედან დაიწყო „შირაქის" დაშლა: თვალის დახამხამებაში გაქრა გუნდისათვის ასე ნაწვალებად ნაშოვნი თანხა — 28 ათასი ლარი, შედეგად, ფეხბურთელები და მწვრთნელები თვეობით ვერ იღებდნენ ხელფასს. წლეულს, IX ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასაწყისში, მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელები თამაშს ენთუზიაზმის ხარჯზე აგრძელებდნენ — უხელფასოდ ვითამაშებთ, ოღონდაც, როგორმე, მსაჯებისა და ინსპექტორის თანხა გაისტუმრეთო, უთხრეს კლუბის პრეზიდენტს. პოპიაშვილმა ესეც ვერ შეძლო, მარტში „შირაქი" დაიშალა...

როცა შევიტყვეთ, დედოფლისწყაროში კვლავ განუზრახავთ ფეხბურთის აღორძინება და ამ მიზნით, პირველ რიგში, ადგილობრივ ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი კრება იმართებაო, შირაქს გავემგზავრეთ. გამოგიტყდებით, თავდაპირველად გვეგონა, რომ ყველაფერი წინასწარ შედგენილი სცენარით წარიმართებოდა: შეიკრიბებოდა ორი ათეული ადამიანი, რამდენიმე წუთს ფეხბურთზე „წაიჭორავებდა", ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს აირჩევდა და მორჩა. საბედნიეროდ, შევცდით — ორმოციოდე დელეგატი თითქმის ორსაათნახევარი ცხარედ კამათობდა, გამოსავალს ეძებდა. ერთში ყველანი ერთსულოვანნი იყვნენ — უფეხბურთოდ რაიონის დატოვება არ შეიძლება. იქ, სადაც მსხვილი წარმოება-დაწესებულებები არ მუშაობენ, კლუბის ძირითადი დაფინანსების წყაროდ სოფლის მეურნეობა იქცევა. დედოფლისწყაროელი გულშემატკივრები იმედის თვალით შეჰყურებდნენ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს, სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს აკაკი სამუკაშვილს, ქონების მართვის განყოფილების უფროსს ომარ ალულიშვილს — ეგებ რაიმე გამოსავალი გვიკარნახონო. თურმე, ნუ იტყვით, შარშან რაიონის გამგეობას საფეხბურთო კლუბისთვის 60 ჰექტარი მიწა გამოუყვია, მაგრამ „შირაქის" ხელმძღვანელებმა გაუგებარი პასიურობა გამოიჩინეს და გადაწყვეტილებას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ყრილობაზე ხალხმა გამგეობის წარმომადგენლებს შეუტია — საიდანაც გინდათ 100-150 ჰექტარი მიწა გამოუყავით რაიონში ფეხბურთის აღორძინების საქმესო (თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფართობზე მოწეული პროდუქციის ნახევარი თავად მუშებისა იქნება, კლუბს არცთუ ისე დიდი თანხა დარჩება საარსებოდ). „კი, ბატონო — ბრძანეს სამუკაშვილმა და ალულიშვილმა, — კლუბს გვერდში დავუდგებით, ოღონდ დაგვაჯერეთ, რომ გამოყოფილ სახსრებს გონივრულად და მიზნობრივად დახარჯავენ, ქარს არ გაატანენ".

მოკლედ, ყრილობის ბოლოს დელეგატებმა საერთო ენა გამონახეს, რაშიც დიდი როლი ითამაშა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ თენგიზ გუმაშვილმა. ამ გამოცდილმა მუშაკმა ისიც არ დაივიწყა შეეხსენებინა ყველასათვის, რომ სპორტი მარტო ფეხბურთი როდია. მისი თქმით, რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა ჭიდაობის, მკლავჭიდის, კიკბოქსინგის, ჭადრაკის განვითარებას და ერთობ უმართებულო იქნება მთელი სახსრები მხოლოდ ფეხბურთს მოვახმაროთო.

ასე თუ ისე, იმ დღეს დედოფლისწყაროში შეიქმნა რაიონის ფეხბურთის ფედერაცია, პრეზიდენტადაც ის კაცი აირჩიეს, ვისაც ნამდვილად, ჭეშმარიტად უყვარს ფეხბურთი — ვაჟა ოზაშვილი. 23 ოქტომბრის სფფ-ის არჩევნებზეც დელეგატად იგი წარადგინეს, თანაც დაუბარეს — ჩივაძის კანდიდატურას დაუჭირე მხარიო. მათ ღია წერილითაც კი მიმართეს თავიანთ რჩეულს.

ჯემალ ჭიპაშვილი
„ლელოს" სპეც. კორ.,
დედოფლისწყარო

აქ, აიდგა ფეხი ქუთაისში კალათბურთმა.



# კალათბურთი ქუთაისში

(პირველი გვერდიდან)

შიოშვილი, ლ. იობაშვილი და სხვები.

1926 წლის ბოლოს ქუთაისელი კალათბურთელები ბათუმს ეწვივნენ და იქ ორი მატჩი გამართეს ადგილობრივ გუნდებთან, ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი" წერდა: „ამ დღეებში ბათუმში გაიმართა შეჯიბრება კალათბურთში ბათუმის ნაკრებ გუნდსა და ქუთაისის „მესამე ლეგიონის" გუნდებს შორის. აღსანიშნავია ქუთაისელთა მოხდენილი თამაში, ბურთის სწრაფი გადაცემა და სხვადასხვა ლამაზი ხერხები. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს გივი და პეტრე კილაძეებმა, შალვა იმედაძემ და ცქიტიშვილმა, თამაში დამთავრდა ანგარიშით 28:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ".

მეორე დღეს სტუმრების წინაშე წარსდგა ბათუმის მეორე ლეგიონის გუნდი. ქუთაისელებმა ამ შეხვედრაშიც იმარჯვეს ანგარიშით 23:18.

სულ მალე ქუთაისში ქალთა კალათბურთელთა პირველი გუნდი შეიქმნა „პროფკავშირების" სახელწოდებით. გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: თამარ ლეჟავა, რაისა კოხოძე, ტატა აბზიანიძე, ქსენია ტკაჩენკო და სხვები.

საქართველოში კალათბურთის პოპულარობამ დღის წესრიგში დააყენა რესპუბლიკის ჩემპიონატის ჩატარების საკითხი, და აი, 1927 წლის ივნისში ქუთაისში ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩატარდა, რომელშიც თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის და სამტრედიის კოლექტივები მონაწილეობდნენ. ჩემპიონატმა, რომელიც ქუთაისის ცენტრალური ბულვარის სახელდახელოდ მოწყობილ კალათბურთის მოედანზე ჩატარდა, ქუთათურების დიდი ინტერესი გამოიწვია. წარმატებით იასპარეზეს თბილისის ქალ-ვაჟთა გუნდებმა, რომლებმაც რესპუბლიკის პირველი ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვეს. ქუთაისის „მედსან ტრუდის" გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

ქალაქში კალათბურთის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1927 წლისათვის საქალაქო პირველობაზე ვაჟთა 18 და ქალთა 4 გუნდი ასპარეზობდა. 1928 წლის 2-9 ივნისს თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველი სპარტაკიადა. ამ დიდ ფორუმზე ჩვენი ქალაქის სპორტულ ღირსებას სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლების მხარდამხარ, კალათბურთელებიც იცავდნენ. ისევე როგორც წინა წელს, ამჯერადაც გამარჯვება წილად ხვდა თბილისელ კალათბურთელებს. მეორე ადგილზე კვლავ ქუთაისელი სპორტსმენები აღმოჩნდნენ.

იმავე წელს ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ჩამოყალიბდა სპორტსაზოგადოება „დინამო", რომელმაც თავისი სპორტული ალმის ქვეშ ჩვენი ქალაქის ძლიერი სპორტსმენები გააერთიანა. სულ მალე ქუთაისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი შეიქმნა, რომლის რიგებში გამოდიოდნენ გივი კილაძე, ალიოშა მამაგეიშვილი, ჟორა მურღულია, გივი სვანიძე, სოსო ბუაძე და მიხეილ ტყეშელაშვილი. „დინამო" ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი იყო რესპუბლიკაში.

1929 წელს დიდ წარმატებას მიაღწია ქუთაისელ ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდმა, მონაწილეობდნენ რა რესპუბლიკის მოზარდთა პირველობაზე, ჩვენი ქალაქის წარგზავნილებმა ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხეს და დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი. აღნიშნულ ტურნირში ქუთაისის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: გივი სვანიძე (გუნდის თავი), მიშა ჩოგოვაძე, მიხეილ აბდალაძე, შოთა ხოჯავა, გიორგი ჟორჟოლიანი, ტყეშელაშვილი, დადოლიძე. იმავე წლის სპორტულ სეზონში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ქუთაისელ კალათბურთელ ქალთა გუნდმა. მათ წარმატებით იასპარეზეს რესპუბლიკურ ჩემპიონატში სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ხაზით და I ადგილი დაიკავეს. შემდგომ ქუთაისელმა გოგონებმა ამიერკავკასიის სახელით პიონერთა საკავშირო გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისელთა დებიუტი საკავშირო სარბიელზე წარმატებით დაგვირგვინდა.

გუნდმა, რომლის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ვალია უგრეხელიძე, ქეთო ცირეკიძე, თინა ბერეკაშვილი, ვერა ცირეკიძე, თინა ჯინორიძე და თამარა ტყეშელაშვილი, დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე, მათ შორის მოსკოვის კარგი გუნდი და მხოლოდ არაობიექტური მსაჯობის შედეგად ფინალში ლენინგრადის არცთუ ისე ძლიერ კოლექტივთან განიცადა დამარცხება და მეორე ადგილს დასჯერდა.

1933 წელს ქუთაისში გაიხსნა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. დაარსების პირველი დღეებიდანვე აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომავალი პედაგოგების ფიზიკურ და სულიერ წრთობას. შემთხვევითი არ იყო, რომ მოკლე დროში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი გახდა ჩვენი ქალაქის როგორც სამეცნიერო-კულტურული, ასევე დიდი სპორტული კერაც. სულ მალე ინსტიტუტთან კალათბურთის გუნდი შეიქმნა, რომელიც ხან „ნაუკას", ხშირად „ინსტიტუტის" ან „მეცნიერების" სახელით წარმატებით ასპარეზობდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე. წლების მანძილზე სტუდენტთა გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ჟორა მურღულია, გივი სვანიძე, მიშა ჩოგოვაძე, ძმები ალეკო და შოთა მესხები, ბონდო ქუთელია, სულიკო თორთლაძე, ვ. ღვინერია, რ. ჯიქია და სხვები.

1935 წლის თებერვალში თბილისში ჩატარებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ქუთაისელმა კალათბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს. გათამაშების პირველ დღეს რიონისპირა ქალაქის წარგზავნილებმა საკმაოდ უჩვეულო ანგარიშით 109:2 დაამარცხეს ახალციხის გუნდი, მაგრამ კიდევ უფრო სარეკორდო ანგარიში ქუთაისელების მონაწილეობით 1939 წელს დაფიქსირდ[illegible] ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე ახალგაზრდებს შორის, ჩვენი ქალაქის წარგზავნილებმა, რომლის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ბონდო გურეშიძე, თენგიზ ყიფიანი, ოთარ სულაბერიძე, ოთარ ქორქია, იონა აფრიდონიძე, გ. ლებანიძე და მ. მარდალეიშვილი წარმოუდგენელი ანგარიშით 119:0 დაამარცხეს ცხინვალის გუნდი და ეს შედეგი დღესაც განუმეორებელ რეკორდად რჩება მსოფლიო კალათბურთის ისტორიაში.

ვეტერანი კალათბურთელის ბონდო გურეშიძის მოგონებიდან: „პირველად ბურთს თამაშის განახლებისას ოთარ ქორქია ეუფლებოდა, მერე მას აღარ ვკარგავდით და ზედიზედ ვათავსებდით კალათში, მხოლოდ ორჯერ მიეცათ ცხინვალელებს საჯარიმო ტყორცნის უფლება და ვერც ერთხელ ვერ გამოიყენეს".

იმ პერიოდში ქუთაისელი ჭაბუკი კალათბურთელები წლების მანძილზე უძლიერესნი იყვნენ რესპუბლიკაში. გამოჩნდნენ ნიჭიერი, პერსპექტიული კალათბურთელები ოთარ ქორქია, ოთარ სულაბერიძე, შოთა ქორქაშვილი, ჯუმბერ ნიჟარაძე, თორნიკე ყიფიანი, იურა გოგოლაშვილი, ვახტანგ ლებანიძე, გ. აფრიდონიძე და სხვები. „უნდა აღინიშნოს ქუთაისელ ჭაბუკ კალათბურთელთა თამაშის მაღალი კლასი, დახვეწილი ტექნიკა, სისწრაფე, სიზუსტე" — წერდა გაზეთი „ფიზკულტურელი". რა თქმა უნდა, არც სახელოვანი მწვრთნელის გივი კილაძის დავიწყება შეიძლება, რომელმაც სული შთაბერა მომავალი ნიჭიერი თაობის დაოსტატების საქმეს.

30-იან წლებში რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე წარმატებით ასპარეზობდნენ ქუთაისელი არმიელი კალათბურთელები. 1936 წლის ივნისის მესამე დეკადაში, თბილისმა უმასპინძლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების პირველობას. ქუთაისის სპორტულ ღირსებას პირველი ქართული დივიზიის კალათბურთელთა გუნდი იცავდა. ჩვენი ქალაქის წარგზავნილებმა, რომელთა რიგებში გამოდიოდნენ: გოგი გოქსაძე, ალიოშა და გრიშა მამაგეიშვილები, მიშა ტყეშელაშვილი და სოსო ბუაძე, წარმატებით იასპარეზეს. მათ თანმიმდევრობით დაამარცხეს თბილისის, ბაქოს, კიროვაბადის, ერევნის გუნდები და დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი. სასახელო გამარჯვება ქუთაისელებისათვის უცხო ხილი არ ყოფილა, რადგან 1933 წლიდან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დივიზიებს შორის ქუთათურები ყოველთვის ინარჩუნებდნენ პირველობას და არაერთხელ წარმატებით უასპარეზნიათ საკავშირო ტურნირებში.

1929/30 წლები. ქუთაისის ნაკრები. მარცხნიდან: გივი სვანიძე, ალეკო მესხი, გოგი გოქსაძე, მიშა ჩოგოვაძე, შოთა ახვლედიანი და ბუჭა მეფარიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## IX ტურის სტატისტიკა

● ტურის მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ბათუმის „დინამოს“ ფრე საკუთარ მინდორზე თბილისის „მერანი-91“-თან. აღსანიშნავია აგრეთვე ლანჩხუთის „გურიის“ ზედიზედ მესამე „დიდი“ ანგარიშით დამარცხება.

● ტურის 8 მატჩში გატანილია 19 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,37). პირველ ნახევარში გატანილია 8 ბურთი, მეორეში კი – 11. მასპინძლებმა შეაგდეს 15 გოლი, სტუმრებმა კი – 4. ჩემპიონატის დაწყებიდან გატანილია 195 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,82) მასპინძლებმა მოიგეს 5 მატჩი, ფრედ დამთავრდა 2, სტუმრებმა გაიმარჯვეს ერთ შეხვედრაში.

● დაფიქსირდა 3 „დიდი“ ანგარიშით მოგება.
საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან ასეთი მოგების რიცხვმა 20-ს მიაღწია (თბილისის „დინამომ“ მოიგო-4, ფოთის „კოლხეთმა“ და ქუთაისის „ტორპედომ“ – 3-3 მატჩი.)

● „დუბლი“ შეასრულა 3 ფეხბურთელმა.
ჩემპიონატის დაწყებიდან აღინიშნა 2 „ჰეთ-თრიკი“ და 29 „დუბლი“. ბოლნისის „სიონთან“ მატჩებში 8 ფეხბურთელმა შეასრულა „დუბლი“.

● ტურში დანიშნულია ერთი პენალტი, რომელიც რეალიზებულია. საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 28 პენალტი, რომლიდანაც გატანილია 23.
დანიშნული 28 პენალტიდან: მასპინძლებმა დაარტყეს 21, ხოლო სტუმრებმა – 7.
ყველაზე მეტი პენალტი დაარტყეს: ლანჩხუთის „გურიამ“ – 4 (რეალიზებულია ერთი), ბათუმის „დინამომ“ და წყალტუბოს „სამგურალმა“ – 3-3 (ტულუშმა და ფაიქიძემ გაიტანეს 3-3 პენალტი). ყველაზე მეტი პენალტი დაურტყეს: ზუგდიდის „ოდიშს“ – 5 (რეალიზებულია 3), სამტრედიის „იბერიას“ – 4 (რეალიზებულია 4-ვე) და წყალტუბოს „სამგურალს“ – 3 (რეალიზებულია სამივე.)

● ტურში ერთი ფეხბურთელია გაძევებული (ფაიქიძე) და 19 გაფრთხილებული.
ყველაზე „უხეში“ მატჩი იყო: „იბერია“ – „სამგურალი“, სადაც 1 ფეხბურთელია გაძევებული და 7 გაფრთხილებული.
ჩემპიონატის დაწყებიდან მსაჯებმა იხმარეს 9 წითელი და 186 ყვითელი ბარათი.
ყველაზე „უხეში“ გუნდებია: წყალტუბოს „სამგურალი“ – 1 გაძევება და 19 გაფრთხილება, თბილისის „არსენალი“ – 1 გაძევება და 18 გაფრთხილება.
ყველაზე „უხეში“ ფეხბურთელებია: ზ. მენთეშაშვილი („ვიტ-ჯორჯია“) და ვ. გველესიანი („არსენალი“) – თითო გაძევება და სამ-სამი გაფრთხილება.

● X ჩემპიონატს შემორჩა 3 დაუმარცხებელი გუნდი („დინამო“, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“.)

### ბომბარდირები:

ლ. ხომერიკი („დინამო“,) – 8 გოლი,
ზ. იონანიძე („ტორპედო“) – 7 (2 – პენალტიდან),
ჰ. წივწივაძე („კოლხეთი“) – 7,
მ. აშვეთია („დინამო“, თბ.) – 6,
ა. კაიდარაშვილი („დილა“) – 6,
თ. ტულუში („დინამო“, ბთ.) – 6 (3-პენალტიდან),
შ. ჩომახიძე („იბერია“) – 5,
ვ. გიგიაძე („იბერია“) – 5
ლ. ცქიტიშვილი („დინამო“ თბ.) – 5 (2 – პენალტიდან),
თ. ფაიქიძე („სამგურალი“) – 5 გოლი (3 – პენალტიდან.)

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

## მეორე ჯგუფი ● VII ტური

### აღმოსავლეთი ზონა

ალგეთი (მარნეული) — მრეტები (თბილისი) 2-1, ალაზანი (გურჯაანი) — სამგორი (გარდაბანი) 2-3, ხალიბი (რუსთავი) — კახეთი (თელავი) 4-2, ზოოვეტი (თბილისი) — ქანაგკო (სართიჭალა) 4-0, ღარწყალი (ძვ. ანაგა) — ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) 2-1, უნივერსიტეტი „იბერია“ — არსენალი-2 (თბილისი) 1-3, დინამო-3 (თბილისი) — შსს აკადემია (თბილისი) 2-4.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღარწყალი | 6 | 5 | 1 | 0 | 16-6 | 16 |
| შსს აკადემია | 6 | 5 | 0 | 1 | 14-5 | 15 |
| ყვარელი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-3 | 14 |
| ხალიბი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-6 | 12 |
| ალგეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 13-10 | 12 |
| დინამო-3 | 7 | 4 | 0 | 3 | 9-10 | 12 |
| არსენალი-2 | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| კახეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-8 | 10 |
| ჭაბუკიანი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-12 | 10 |
| ზოოვეტი | 6 | 3 | 0 | 3 | 14-9 | 9 |
| უნივ „იბერია“ | 7 | 2 | 2 | 3 | 9-11 | 8 |
| სამგორი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| მრეტები | 7 | 1 | 1 | 5 | 7-14 | 4 |
| ალაზანი | 7 | 1 | 0 | 6 | 9-21 | 3 |
| სართიჭალა | 7 | 0 | 1 | 6 | 5-22 | 1 |

### ცენტრალური ზონა

ვარძია (ასპინძა) — ივერია (ხაშური) 0-0, იბერია (ქარელი) — მესხეთი (ახალციხე) 3-0, დინამო-2 (თბილისი) — ცხუმი (სოხუმი) 1-0, განთიადი (კასპი) — საუ (თბილისი) 2-1, ცხინვალი — ლოკომოტივი-2 (თბილისი 5-1, დილა-2 (გორი) — იბერია (თბილისი) 3-3, თორი (ბორჯომი) — ქინერი (ქინვალი) 4-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 | 7 | 7 | 0 | 0 | 26-3 | 23 |
| ლოკომოტ.-2 | 7 | 5 | 0 | 2 | 17-11 | 15 |
| ივერია | 7 | 4 | 2 | 1 | 16-6 | 14 |
| განთიადი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-11 | 14 |
| იბერია (ქ.) | 7 | 4 | 1 | 2 | 13-6 | 13 |
| ცხინვალი | 6 | 4 | 1 | 1 | 18-7 | 10 |
| თორი | 7 | 3 | 0 | 4 | 11-12 | 9 |
| საუ | 7 | 2 | 2 | 3 | 11-13 | 8 |
| ცხუმი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 7 |
| იბერია (თბ.) | 6 | 2 | 1 | 3 | 12-19 | 7 |
| დილა-2 | 7 | 1 | 2 | 4 | 13-17 | 5 |
| მესხეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 10-18 | 4 |
| ქინერი | 7 | 1 | 1 | 5 | 9-29 | 4 |
| ვარძია | 7 | 0 | 2 | 5 | 7-22 | 2 |

*შენიშვნა: ცხინვალს დაკლებული აქვს სამი ქულა.*

### დასავლეთის ზონა. «ა» ქვეჯგუფი

ოკეანე (სამტრედია) — სამგურალი-2 (წყალტუბო) 0-2, იბერია-2 (სამტრედია) — რიონი (ქუთაისი) 1-1, რაჭა (ამბროლაური) — ჩიხურა (საჩხერე)



3-0, სულორი (ვანი) — მაღაროელი (ჭიათურა). 4-1, დინამო (გაგრა) — მეშახტე (ტყიბული) 1-2, ტორპედო-2 (ქუთაისი) — მარგვეთი (ზესტაფონი) 2-4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 7 | 7 | 0 | 0 | 22-5 | 21 |
| მარგვეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 20-6 | 16 |
| დინამო (ბთ.) | 7 | 5 | 0 | 2 | 17-8 | 15 |
| მეშახტე | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 |
| ოკეანე | 7 | 4 | 0 | 3 | 5-7 | 12 |
| სამგურალი-2 | 6 | 3 | 1 | 2 | 12-8 | 10 |
| საირმე | 6 | 2 | 1 | 3 | 3-7 | 7 |
| ტორპედო-2 | 7 | 2 | 1 | 4 | 8-13 | 7 |
| რაჭა | 7 | 2 | 0 | 5 | 9-11 | 6 |
| რიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| ჩიხურა | 6 | 1 | 0 | 5 | 5-20 | 3 |
| მაღაროელი | 6 | 1 | 2 | 3 | 10-16 | 2 |
| იბერია-2 | 7 | 0 | 1 | 6 | 5-18 | 1 |

*შენიშვნა: მაღაროელს დაკლებული აქვს.*

### დასავლეთის ზონა. «ბ» ქვეჯგუფი

სამეგრელო (ჩხოროწყუ) — მერცხალი (ოზურგეთი) 1-2, ენგური (განმუხური) — ფაზისი (ფოთი) 3-2, ეგრისი (სენაკი) — კოლხეთი (ხობი) 0-1, შუქურა (ქობულეთი) — ბახმარო (ჩოხატაური) 2-1, კოლხეთი-2 (ფოთი) — კოლეჯი (ბათუმი) 0-0, სალხინო (მარტვილი) — ოდიში-2 (ზუგდიდი) 2-4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 7 | 5 | 1 | 1 | 13-6 | 16 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-2 | 13 |
| სქური | 6 | 4 | 0 | 2 | 11-8 | 12 |
| მერცხალი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-8 | 12 |
| ეგრისი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| შუქურა | 6 | 3 | 1 | 2 | 11-7 | 10 |
| სამეგრელო | 7 | 3 | 1 | 3 | 12-9 | 10 |
| ოდიში-2 | 7 | 2 | 3 | 2 | 11-10 | 9 |
| კოლეჯი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-8 | 8 |
| ფაზისი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| სალხინო | 6 | 2 | 0 | 4 | 11-16 | 6 |
| ბახმარო | 7 | 1 | 1 | 5 | 5-19 | 4 |
| კოლხეთი-2 | 6 | 0 | 1 | 5 | 3-17 | 1 |

UEFA EURO 2000

## ცხარე ბრძოლების მოლოდინში

**10 და 14 ოქტომბერს ევროპაში დიდი საფეხბურთო ბატალიები გაიმართება – 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩები.**

### უკრაინა

ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის მეტოქეები ანდორასა და სომხეთის ნაკრებები იქნებიან. მთავარმა მწვრთნელმა იოჟეფ საბომ გუნდში კვლავ დააბრუნა ბრემენის „ვერდერის“ მცველი



ვიქტორ სკრიპნიაკი და ნახევარმცველი იური მაქსიმოვი. უკრაინის ნაკრების 25-კაციანი სია ასე გამოიყურება: ***მეკარეები*** – შოვკოვსკი („დინამო“ კიევი), ვორობიოვი („ტორპედო“ მოსკოვი); ***მცველები*** – ლუჟნი, ვაშჩუკი, დმიტრულინი, გოლოვკო (ყველა – „დინამო“ კ.), მიკიტინი, ევტუშოკი, იეზერსკი (ყველა – „კარპატი“ ლვოვი), სტაროსტიაკი („შახტიორი“ დონეცკი), სკრიპნიკი („ვერდერი“); ***ნახევარმცველები*** – მაქსიმოვი („ვერდერი“), კალიტვინცევი, გუსინი, კოსოვსკი, კარდაში, მიხაილენკო (ყველა – „დინამო“ კ.), პოპოვი, კრივენცოვი, კოვალიოვი („შახტიორი“ დ.), მაქსიმიუკი („ზენიტი“ სანკტ-პეტერბურგი); ***თავდამსხმელები*** – რებროვი, შევჩენკო, კონოვალოვი (ყველა – „დინამო“ კ.), სკაჩენკო („ტორპედო“ მ.).

რაკი უკრაინის ნაკრებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურის, ფორვარდ ანდრეი შევჩენკოს ტრანსფერთან დაკავშირებულ ახალ ინფორმაციას. გულშემატკივრებმა იციან, რომ ამ თავდამსხმელის ხელში ჩაგდება კარგა ხანია განუზრახავთ ევროპულ გრანდებს – „მილანს“, „პარმას“, „არსენალს“, მაგრამ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტის გრიგორი სურკისის მიერ მოთხოვილნი ძალიან მაღალი ფასის გამო მოლაპარაკება არ ხერხდებოდა, თუმცა, ეტყობა, მალე ეს პრობლემა მოგვარდება: ამ დღეებში სურკისმა ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდი, რომელიც შევჩენკოს ყიდვას მოისურვებს, იძულებული იქნება მასში 18 მილიონი დოლარი გაიღოს. ამბობენ, ეს თანხა რეალურთან ახლოსაა, იგი მისაღებია ევროპული გრანდებისათვის. მიმომხილველთა აზრით, უკრაინელი ფორვარდის შეძენის ყველაზე კარგი შანსი იტალიურ „მილანს“ გააჩნია.

### გერმანია

ევროპის ჩემპიონების მეტოქეებია თურქეთი და მოლდოვა. ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ამ მატჩებისათვის ოთხი წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა (ისინი ტრავმირებულნი არიან) – ლოთარ მათეუსი, თომას შტრუნცი, მარიო ბასლერი და ოლაფ მარშალი. მათ ნაცვლად რიბეკმა ახალბედებს უხმო: იენს ნოვოტნის, კარსტენ იანკერს, კარსტენ რამელოვს, მუსტაფა დოგანის, ივეს აიგენრაუხს და შტეფან კლოსს. 61 წლის მწვრთნელმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მას სრულებითაც არ აშინებს ამდენი ახალწვეულის აყვანა გუნდში: „მე მათი მჯერა, თავისი პოტენციით სრულებით შესწევთ უნარი ღირსეულად გაუმკლავდნენ მეტოქეებს“. რიბეკის, ნაკრები მთლიანობაში ასე გამოიყურება: ***მეკარეები*** – ოლივერ კანი („ბაიერნი“), შტეფან კლოსი („დორტმუნდი“), იენს ლემანი („მილანი“); ***მცველები*** – მარკუს ბაბელი („ბაიერნი“), მუსტაფა დოგანი („ფენერბახჩე“), ივეს აიგენრაუხი („შალკე-04“), იენს ნოვოტნი („ბაიერი“), მარკო რემერი („ჰანზა“); ***ნახევარმცველები*** – შტეფან ბაინლიხი, კარსტენ რამელოვი (ორივე – „ბაიერი“), მარკო ბოდე („ვერდერი“), იორგ ჰაინრიხი („ფიორენტინა“), იენს იერემიესი, მიხაელ ტარნატი (ორივე – „ბაიერნი“), კრისტიან ნერლინგერი, ლარს რიკენი (ორივე – „დორტმუნდი“), დარიუს ვოში („ჰერტა“), რალფ ვებერი („აინტრახტი“); ***თავდამსხმელები:*** ოლივერ ბირჰოფი („მილანი“), კარსტენ იანკერი („ბაიერნი“), ულფ კირსტენი („ბაიერი“), ოლივერ ნოივილი („ჰანზა“).



### იტალია

„სკუადრა აძურა“ უდინეში მიიღებს შვეიცარიის ნაკრებს. დინო ძოფმა ამ შეხვედრისათვის 22 ფეხბურთელს უხმო. აღსანიშნავია, რომ მათგან ორი ახალგაზრდა თავდამსხმელია – ნიკოლა ვენტოლა და ფრანჩესკო ტოტი. ძოფის ნაკრებში ორივე მეკარეც ახალგაზრდაა – ბუფონი და ტოლდო (ძირითადი მეკარე ანჯელო პერუცი ტრავმირებულია), დებიუტანტია „ლაციოს“ მცველი ფავალიც.

ძოფის განცხადებით, ნაკრების წამყვანი ფიგურები იქნებიან კრისტიან ვიერი და რობერტო ბაჯო. აი, „სკუადრა აძურას“ სრული შემადგენლობა: ***მეკარეები*** – ჯანლუიჯი ბუფონი („პარმა“), ფრანჩესკო ტოლდო („ფიორენტინა“); ***მცველები*** – ფაბიო კანავარო („პარმა“), ჯუზეპე ფავალი („ლაციო“), პაოლო მალდინი („მილანი“), კრისტიან პანუჩი („რეალი“), ჯანლუკა პესოტო („იუვენტუსი“), მოსენო ტორიჩელი („ფიორენტინა“); ***ნახევარმცველები*** – დემეტრიო ალბერტინი („მილანი“), იონათან ბაკინი, ჯულიანო ჯანიკედა (ორივე – „უდინეზე“), დინო ბაჯო, დიეგო ფუზერი (ორივე – „პარმა“), ლუიჯი დი ბიაჯი, ეუსებიო დი ფრანჩესკო (ორივე – „რომა“); ***თავდამსხმელები*** – ენრიკო კიეზა („პარმა“), ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე – „იუვენტუსი“), ფრანჩესკო ტოტი („რომა“), ნიკოლა ვენტოლა („ინტერი“).



### გადადებული მატჩები

უეფას ოფიციალური ცნობით, ალბანეთი – საბერძნეთის მატჩი კალენდრით გათვალისწინებული 10 ოქტომბრის ნაცვლად 18 ნოემბერს გაიმართება. მოგეხსენებათ, 14 სექტემბერს ტირანაში მასობრივი არეულობა მოხდა და მას შემდეგ მთელ ალბანეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ამით ისარგებლა ბერძნულმა ფედერაციამ, რომელმაც თავისი გუნდისთვის უსაფრთხოების გარანტიების უქონლობის გამო, შეხვედრის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება მოითხოვა. ცხადია, ალბანელები ამას არ დაეთანხმნენ. ისინი უეფას არწმუნებდნენ, რომ ტირანაში თამაში სავსებით შესაძლებელია. საბოლოოოდ, უეფამ არც მწვადი დასწვა, არც შამფური და საშუალედო გადაწყვეტილება მიიღო, რომელზედაც თავში მოგახსენეთ.

ბალკანეთში არსებული დაძაბული სიტუაციის გამო უეფამ 10 ოქტომბერს დანიშნული კიდევ ერთი მატჩი გადადო – საუბარია იუგოსლავია-ირლანდიის შეხვედრაზე (როგორც ცნობილია, უახლოეს დღეებში ნატოს ბლოკი გეგმავს სამხედრო ოპერაციების განხორციელებას იუგოსლავიის წინააღმდეგ, რათა ხელი აალებინოს ბელგრადს კოსოვოში მცხოვრებ ალბანელების რეპრესიებზე). ამავე მიზეზით გადაიდო ნოემბერში დანიშნული ამხანაგური მატჩი იუგოსლავიასა და ინგლისს შორის.

# ბიძინა გეგიძე: სანუგეშო ტურნირზე ლაპარაკიც კი არ გვინდა

*(პირველი გვერდიდან)*

ლისში, კინოთეატრ „ამირანში“ შეიკრიბებიან, რათა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტონ, რა გზით უშველონ სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას.

გუშინწინ ქართველი ბორჯღალოსნები საფრანგეთს გაემგზავრნენ მსოფლიო თასის მფლობელი შესარჩევი ტურნირისწინა შეკრების გასავლელად. ჩვენები იქ 9 საწვრთნელ მატჩს გამართავენ უძლიერეს ფრანგულ კლუბებთან, ხოლო მერე გადავლენ ირლანდიაში მსოფლიო თასზე სასპარეზოდ.

„ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს გურამ მოდებაძეს, რომელმაც თქვა: „შეიძლება თამამი განცხადებაა, მაგრამ მჯერა, ირლანდიაში წარმატებას მივაღწევთ, ამას კი საქართველოში დიდი სარაგბო ტალღის აგორება უნდა მოჰყვეს. დღესდღეობით გუნდში მაღალმა მორალურ-ფსიქოლოგიურმა კლიმატმა დაისადგურა, თუმცა პრობლემებს რა გამოლევს. საფრანგეთში, საწვრთნელ შეკრებაზე 34 რაგბისტი მიგვყავს, მათგან ირლანდიისათვის 22-ს შევარჩევთ. შანსი ყველას ეძლევა, მათ შორის ახალგაზრდული ნაკრების წევრებს ჯალალონიასა და ჭელიძეს. ძაგნიძეები, მართალია, უვარჯიშებლები არიან, მაგრამ მათ იმხელა დამსახურება აქვთ ქართული რაგბის წინაშე, თავის გამოჩენის შესაძლებლობა მივეცი. სამწუხაროდ, ირლანდიაში არ გვეყოლებიან ტრავმირებულები ღიბრაძე და ურჯუკაშვილი.

და ბოლოს, ერთი სასიამოვნო სიურპრიზი რაგბის მოყვარულთათვის. ბიძინა გეგიძის თქმით, ისლანდიიდან ჩვენი ნაკრების მატჩების ტელეტრანსლაციის მოწყობის საქმე, თურმე, თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა. „ამიტომ ჩვენ შერცხვენის უფლება არა გვაქვს — ორიდან ერთი თამაში მაინც უნდა მოვიგოთ, სანუგეშო ტურნირზე ლაპარაკიც კი არ გვინდა“.

ღმერთმა გისმინოთ!

ევროპაში გამგზავრებამდე ჩვენმა გუნდებმა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის III ტურის მატჩები გამართეს. „ექსპრესმა“ მოუგო „გუმარს“ — 34:19, „ყოჩებმა“ არმიელებს — 29:23, „დათვებმა“ — „დინამოს“ 76:3.

**სატურნირო ცხრილი ახლა ასე გამოიყურება:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 17 | 16 | 1 | 0 | 790-174 | 33 |
| ექსპრესი | 17 | 12 | 0 | 5 | 534-208 | 24 |
| დათვები | 17 | 10 | 1 | 6 | 487-194 | 21 |
| ასკ | 17 | 10 | 0 | 7 | 369-284 | 20 |
| გუმარი | 17 | 10 | 0 | 7 | 381-300 | 19 |
| | | | | | (1 ქულა დაკლებული აქვს) | |
| დინამო | 17 | 2 | 0 | 15 | 102-664 | 4 |

პლეი-ოფში I-IV ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ ასპარეზობას.



# იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.

# კანდელაკი ამერიკელ მოკრივეს ელოდა, ბულგარელი კი შერჩა ხელთ

*(პირველი გვერდიდან)*

ლი ან ინგლისელი, უეჭველად მოყვარულებით დაიწყებდა მოკრივის კარიერას. ვცდილობ და ვერ გამიხსენებია, ვინ უნდა იყოს. მაგრამ ერთი ეტყობა: კაი ხნის გადასული უნდა იყოს პროფესიონალებში.

● ***რაზე ეტყობა?***

— სპას სპასოვისა მხოლოდ ერთი ვიცი: 27 ბრძოლა გაუმართავს პროფესიონალებში და მარტო ერთხელ დამარცხებულა, 26 კი მოუგია. მე უკვე მეექვსე თვეა, რაც პროფესიონალი ვარ და ჯერ მხოლოდ მესამე შეხვედრას ვატარებ. ახლა თავად განსაჯე, სპასოვი რამდენი წლის გაპროფესიონალებული უნდა იყოს, რომ უკვე 29-ჯერ მოასწრო რინგზე გასვლა.

● ***შენს წინა მეტოქეებსაც თითო შეხვედრა ჰქონდათ დათმობილი და დანარჩენი კი მოგებული და მეორეჯერ შენთან წაიტეხეს კისერი. სპასოვსაც ასე მოელი?***

— აბა, მეორე მარცხს სპასოვს როგორ დავაყვედრი. ღმერთმა ქნას, ეგრე იყოს. მე ჩემსას კი ვეცდები და დანარჩენი იღბლისა და მსაჯების საქმეა.

● ***შენი ერთ-ერთი მწვრთნელიც ხომ ბულგარელია. როგორც ვიცი, სწორედ ის უნდა ჩამოვიდეს ამ შეხვედრისთვის რომ მოგამზადოს. სად არის?***

— აუცილებლად ჩამოვა. კი, ბულგარელია — მიხეილ ტაკოვი და მისი დიდად მეიმედება. ჯერ ერთი, გონივრულ რჩევა-დარიგებას არ მომაკლებს, მეორეც, სპასოვის თანამემამულეა და, ეგებ ტაკოვმა რამე ახალი მითხრას სპასოვის შესახებ.

● ***ღმერთმა 11-ში გაგამარჯვებინოს, გიორგი, მაგრამ ახლა, როგორც პროფესიონალს, შენი მომავლის გეგმებიც გექნება.***

— ფაქტიურად, ჩემი გეგმები ჩემს მენეჯერზე — ფრენკ მელოუნზეა დამოკიდებული. სადღეისოდ ის ვიცი, რომ 15 ნოემბერს მეოთხე შეხვედრა უნდა გავმართო ინგლისში, ალბათ, ლონდონში. ჩემი მეტოქის ვინაობა, ტრადიციულად, არც ამჯერად ვიცი. სავარაუდოდ კი ამერიკელს უნდა ვეკრივო, მაგრამ არ ღირს ამ ვარაუდზე დაყრდნობა, რადგან ახლაც ამერიკელს ველოდებოდი და ბულგარელი კი შემრჩა ხელთ.

გია გიორგაძე



# რაც არ გვინახავს, კვირას საკუთარი თვალით ვნახავთ

**პროფესიული კრივისა ქართველებს, ავად თუ კარგად, რაღაც გაგვეგება, მაგრამ პროფესიული ჭიდაობისა ჩვენში ცოტამ თუ უწყის. კვირას, 11 ოქტომბერს კი სპორტის ქომაგები, თბილისის სპორტის სასახლეში, პროფესიულ კრივსაც დააჭაშნიკებენ და ჭიდაობასაც, რადგან ჩვენებურ გულშემატკივრებს სპორტის ამ სახეობათა ხილვის საშუალება ტელეეკრანის გარდა, არანაირი არ ჰქონდათ.**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ნობათი სპორტის მოყვარულთ ერთმა კაცმა — ნოდარ ეკვთიმიშვილმა უძღვნა და იმ ადამიანებმა, ვინც ბატონ ნოდარს დაუდგა გვერდით, რათა ეს სასიკეთო საქმე ასევე კეთილად დასრულებულიყო.**

**ბატონი ნოდარ ექვთიმიშვილი დღეს „ლელოს“ სტუმარია და სწორედ საყვირაოდ გასამართ ღონისძიებებზე, ქართველ ათლეტთა სპორტის ამ ახალ სახეობებში ჩაბმასა და მომავალზე გვესაუბრება.**

● ***ბატონო ნოდარ, პროფესიული ჭიდაობა არც ისე პოპულარულია საქართველოში. თქვენ როდის და სად დაინტერესდით მისით?***

— პროფესიული ჭიდაობა იაპონიაში დაინერგა და დღესაც მას იაპონურ ჭიდაობას ეძახიან. მე საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, უკვე რა ხანია. სამბოს მსოფლიოს ფედერაციის პრეზიდენტი კი ერთი წლის წინ იაპონელი ტომაიკი ხასიმო იყო. მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მისით გავეცანი იაპონურ ჭიდაობას და ტოკიოს კლუბ „რინგსის“ პრეზიდენტს აკირა მაედას. სანახავად ვაჟკაცური სახეობაა იაპონური ჭიდაობა, დავინტერესდი და მივხვდი, რომ ამ საქმეში ქართველები არავის არ ჩამოუვარდებოდნენ, თუკი მასში ჩაებმებოდნენ. თავდაპირველად მოჭიდავენი — ზაზა ტყეშელაშვილი და ლევან ებანოიძე წავიყვანე ტოკიოში და მათ თავი ისახელეს. შემდეგ, რაკი გზა გაიკვალა, ამ ბიჭებს მიჰყვნენ იაპონური ჭიდაობით დაინტერესებული ჩვენი სპორტსმენები — კარატისტები, ძიუდოისტები, მკლავჭიდელები და მოკრივეები. მათგან ბევრმა დაიმკვიდრა ადგილი სპორტის ამ სახეობაში... თვალსაჩინოებისათვის, დავძენ, რომ იაპონიაში ბედი სცადეს, თვით ჩვენებურმა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, ევროპის ჩემპიონებზე არაფერს ვამბობ.

● ***საქართველოში მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები ჩამოდიან და აქედანვე ჩანს, რომ ტურნირი მაღალი დონისა იქნება. როგორ გაბედეს იაპონელებმა, რომ არც თუ სტაბილურ საქართველოს ანდეს ასეთი პრესტიჟული ტურნირის ჩატარება?***

— ამ ტურნირს გარკვეულწილად იმის დადასტურებაც შეუძლია, რომ ქართველი ხალხი სტაბილურობისა და მშვიდი ცხოვრების მომხრეა. მოგახსენებთ, რომ კლუბ „რინგსის“ ეგიდით იაპონიის გარდა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას ღირსებია ტურნირის ჩატარების პატივი — სამხრეთ კორეას, ჰოლანდიას, ამერიკასა და ახლახან ინგლისს. მეხუთენი ჩვენა ვართ, ეს არაფერს ნიშნავს?

ეს კი უპირველესად მათი დამსახურებაა, ვინც მოიწადინა, თავი გამოიდო და ყველაფერი გააკეთა, რომ იაპონელები დაეყაბულებინა მასპინძლობის ნებართვაზე. და, რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი მიუძღვის აკირა მაედას — „რინგსის“ პრეზიდენტს, რომელმაც ჩვენი სურვილი და თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და ყველაფრით დაგვეხმარა, რომ ეს შეჯიბრება რიგიანად გამართულიყო თბილისში.

● ***ქართველი სპორტსმენები როგორ ფორმაში არიან?***

— ბიჭები მონდომებულნი არიან და უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებენ, მით უმეტეს, ისინი იაპონიაში თავნასახელები ხალხია, უცხო ქვეყანაში არავის ტოლს არ უდებდნენ, შინ კი მეტი მოეთხოვებათ, რაკი ქომაგები ზურგს უმაგრებენ.

რვა სპორტსმენი დაიცავს საქართველოს ღირსებას. აქედან ექვსი ათლეტი იაპონურ ჭიდაობაში არაერთგზის გამოსულა — ძმები ტარიელ და ამირან ბიწაძეები, რამაზ ბუზარიაშვილი, თენგიზ თედორაძე, ბაკურ გოგიტიძე და ზაზა ტყეშელაშვილი, ხოლო ზაზა ტყეშელაშვილის ძმა კობა და ლევან ჯაფარიძე შედარებით გამოუცდელები არიან, თუმცა, ღონითა და ოსტატობით არავის ჩამოუვარდებიან. თავის გამოჩენის საუკეთესო შანსი აკი მიეცათ.

● ***ამბობენ, უცხოეთში ამგვარ ტურნირებზე სოლიდური საპრიზო ფონდებია დაწესებული. თბილისშიც ასე იქნება?***

— კი, საპრიზო ფონდი ჩვენს ტურნირზეც იქნება. რა თქმა უნდა, სოლიდური. ისე, გადაჭარბებული ხმებიც დადის, თითქოს „რინგსის“ წევრები დიდ ფულს შოულობენ. ასე არ არის — ყველა ტურნირზე სხვადასხვა საპრიზო ფონდია, ზოგან სოლიდური, ზოგან — ისე რა! გააჩნია ტურნირსა და მონაწილეთა დონეს.

● ***თბილისში გამარჯვებულებს „რინგსი“ მისცემს პრიზს?***

— არა, ტურნირის ორგანიზატორები — მასპინძლები არიან ვალდებულნი საპრიზო ფონდი დააწესონ. აქაც ასე იქნება. ეს „რინგსის“ დაუწერელი თუ დაწერილი კანონია, როგორც გინდათ, ისე უწოდეთ — ასეა!

● ***ბატონო ნოდარ, კვირას გიორგი კანდელაკი თავის მესამე სარეიტინგო ბრძოლას გამართავს პროფესიულ კრივში სპას სპასოვთან. შეიძლება ითქვას, მაყურებელს ორმაგი სიამოვნება ელის. ამ ბრძოლაზე რას იტყვით?***

— გიორგი კანდელაკს საქართველოში სერიოზული ორთაბრძოლა არ გაუმართავს, თუ არ ჩავთვლით მის სიყმაწვილეში შინ გამართულ ტურნირებში ასპარეზობას. ეს არც ღირს გასახსენებლად იმასთან შედარებით, რასაც კვირას იხილავთ. ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა პროფესიონალთა კრივი. ეს უპირველესად გიორგის ნიჭისა და ოსტატობის წყალობაა. მე გულით მსურდა, რომ სწორედ „რინგსის“ ეგიდით გამართულ თბილისურ ტურნირზე ეჩხუბა კანდელაკს, მე და გიორგიმ მის მენეჯერებთან შეთანხმებასაც მივაღწიეთ, რაც ძალიან მახარებს.

მართლაც, ორი პროფესიონალი მოკრივის კანდელაკ — სპასოვის შეხვედრა დაამშვენებს პროფესიონალ მოჭიდავეთა ისედაც მაღალი დონის ტურნირს. ახლა კი ყველაფერი ქომაგებზეა დამოკიდებული, რომელნიც ზეგ სპორტის სასახლეს ეწვევიან — გულიანი და ჯენტლმენური ქცევით გაამხნევონ თავიანთი თანამემამულე.

გია გიორგაძე

*(პირველი გვერდიდან)*

თუ გახსოვთ, შარშანდელ პლეი-ოფში შესასვლელად სწორედ ეს გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს და სამი მატჩის ჯამში სდასუ-მ იმარჯვა. ახლა თსუ-მ რევანში აიღო.

ამ თამაშში ყველაზე გამორჩეული ფიგურა ცქიტიშვილი იყო. სწორედ მისმა თავდადებულმა, საზრიანმა გარჯამ მოუტანა თსუ-ს გადამწყვეტი უპირატესობა.



**კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

### სტუ (თბილისი) — კოლხა (სოხუმი) 93:70

**სტუ:** მიქაძე (7), ტუღუში (8), ნაცვლიშვილი (5), ნოზაძე, ოთიურიძე (13), ჩავლეიშვილი (2), მოისწრაფიშვილი (1), სუხიშვილი (11), ჩერქეზიშვილი (24), ლოსაბერიძე (3), მინაშვილი (10), ცხვედიანი (9).

**კოლხა:** არველაძე (6), ბერია (15), ქვილითაია (6), აბულაძე (6), უგრეხელიძე (19), თოდუა (10), კვაჭაძე, ქარუმიძე, ბერიშვილი (8).

**მსაჯები:** გია მოლოდინაშვილი, დავით ბერეკაშვილი.

თამაზ ოქრუაშვილის შეგირდებმა მეორე გამარჯვებაც იზეიმეს, აი ვაჟა კვარაცხელია და მისი გუნდი კი მეორედ დამარცხდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თუ პირველ ტურში სოხუმელებმა ვერაფერი წინააღმდეგობა გაუწიეს „აზოტს“, ახლა მათმა თამაშმა უფრო მობილური სახე დატოვა. კოლხებმა ძალზე მონდომებულად დაიწყეს მატჩი და თავდაპირველად აშკარად დაჯაბნეს სტუდენტები. მე-5 წუთისათვის ისინი იგებდნენ 10:5. ამას სტუ ნამდვილად არ ელოდა და მყისვე მოედანზე ძირითადი მოთამაშეები ჩერქეზიშვილი და ცხვედიანი გამოიყვანა. მალე სტუდენტებმა ანგარიში გაათანაბრეს. მერე დიდხანს თამაში ქულა-ქულაზე მიდიოდა და პირველი ტაიმიც ყაიმით დამთავრდა 39:39. თუმცა შემდეგ ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა და უფრო გამოცდილმა უნივერსიტეტელებმა თანდათან გაზარდეს უპირატესობა.

### შევარდენი (თბილისი) — ვითა (თბილისი) 20:0

საქართველოს 6-გზის ჩემპიონი თურქეთში გადიოდა წინასასეზონო შეკრებას და თბილისში დაგვიანებით ჩამოვიდა. მატჩზე გამოუცხადებლობისათვის, დებულების თანახმად „ვითას“ წაგება ჩაეთვალა ანგარიშით 20:0, ჩაეწერა 0 ქულა და დაჯარიმდა 2000 ლარით.

### მაკაბი (თბილისი) — აზოტი (რუსთავი) 66:88

**მაკაბი:** ჩხაიძე (3), ანდღულაძე (7), პაპასკირი (2), ტალაბაძე (15), ფერიაშვილი (28), ნაცვლიშვილი (6), რიქინაშვილი, დავარაშვილი, ფიცხელაური (5).

**აზოტი:** ქლენტი (15), გოგობერიშვილი (12), ბაბიაშვილი (14), ბერუაშვილი (4), ჯაფარიძე (23), გაბისონია (3), გოგოლაძე, ჩაჩუა (3), ბარამიძე, ჯიმშელეიშვილი (14).

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ალექსანდრე როსტომაშვილი.

„მაკაბის“ ბევრი გამოცდილი კალათბურთელი ჰყავს და სათამაშო პოტენციით მას ძალუძს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ ჩვენს გუნდს, ამიტომ მაყურებელი ცხარე ბრძოლის მოლოდინში იყო. სამწუხაროდ, იგი არ გამართლდა. „აზოტმა“ თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და მეთოდურად, მშვიდად მიჰყავდა საქმე გამარჯვებისაკენ. მართალია რუსთაველთა სიმშვიდის დარღვევას ვეტერანი მაკაბელები — ფერიაშვილი და ტალაბაძე ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მათ თანაგუნდელებმა აშკარად ვერ აუბეს მხარი.

III ტურის მატჩები II და 12 ოქტომბერს გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან მაკაბი — შევარდენი, სდასუ — ვითა, დინამო — კოლხა, თსუ — სტუ.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 2 | 2 | 0 | 189:150 | 4 |
| აზოტი | 2 | 2 | 0 | 185:146 | 4 |
| თსუ | 2 | 2 | 0 | 176:159 | 4 |
| შევარდენი | 2 | 1 | 1 | 93:91 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 91:73 | 2 |
| მაკაბი | 2 | 0 | 2 | 155:181 | 2 |
| სდასუ | 2 | 0 | 2 | 150:179 | 2 |
| კოლხა | 2 | 0 | 2 | 150:190 | 2 |
| ვითა | 1 | 0 | 1 | 0:20 | 0 |

*შენიშვნა: „ვითას“ დაკლებული აქვს 1 ქულა.*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### კონფედერაციის თასი სიძნელეებს გადაეყრება

კონფედერაციის თასი უკანასკნელად საუდის არაბეთში ჩატარდა და ბრაზილიის ნაკრების დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა. მისი მორიგი გათამაშება 8-20 იანვარს მექსიკაში დაინიშნა. მონაწილეობის მოსაღებად მიწვეული არიან საფრანგეთის, ბრაზილიის, აშშ-ს, მექსიკის, ბოლივიის, საუდის არაბეთის, ეგვიპტის ნაკრებები და ოკეანიის ჩემპიონატში გამარჯვებულნი (ეს, ეტყობა, ავსტრალიის გუნდი იქნება).

ეს თავისთავად მეტად საინტერესო შეჯიბრება, თუნდაც მსოფლიო ჩემპიონებისა და ვიცე-ჩემპიონების მონაწილეობის გამო, დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება. საქმე ის არის, რომ საყოველთაო აზრით, იგი მეტად უხერხულ დროს ტარდება. ევროპის წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლების თათბირზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ კონფედერაციის თასზე მონაწილეობის მისაღებად არ გაანთავისუფლებენ იმ მოთამაშეებს, რომლებიც ინგლისის, შოტლანდიის, იტალიის, გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ბელგიის, დანიის, შვეიცარიის, საბერძნეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატებში გამოდიან. ძნელი სათქმელია, რას დაემსგავსება ამ მოთამაშეების გარეშე კონფედერაციის თასი. მაშინ ხომ ბრაზილიელები იმ ფეხბურთელების გარეშე უნდა გამოვიდნენ, რომლებიც ევროპულ კლუბებში თამაშობენ. რაც შეეხება ფრანგებს, ისინი იძულებულნი გახდებიან წმინდა სამოყვარულო შემადგენლობით ითამაშონ. ერთი სიტყვით, შეჯიბრებამ შეიძლება მნიშვნელობა დაკარგოს.

### «დნეპრი» ბელორუსიის ჩემპიონია

მოგილიოვის „დნეპრი“ ბელორუსიის ჩემპიონი გახდა. კლუბი მოგილიოვის ორი კოლექტივის გაერთიანების შედეგად შეიქმნა. თუმცა რესპუბლიკური მნიშვნელობის რომელიმე ვარსკვლავი „დნეპრს“ არა ჰყავს, მაგრამ იგი კარგად შეკრული კოლექტივია, ქვეყნის პირველობაზე ყველაზე მეტი გოლი — 51 გაიტანა და ყველაზე ნაკლები — 11 მიიღო. 25 მატჩში მან 21 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და 2 წააგო.

ამიერიდან მოგილოვის „დნეპრს, რომელსაც გამოცდილი მწვრთნელი ვალერი სტრელცოვი უდგას სათავეში, თავისი არსებობის ისტორიაში პირველად ევროთასებზე მოელის მონაწილეობა.

### თუ ფულს არ გადაიხდის

**თუკი უახლოესი ერთი თვის განმავლობაში რუსეთის პირველი დივიზიონის ლიდერი, რამენსკოეს „სატურნი“ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს“ ფეხბურთელ სოლოვიოვის ტრანსფერისათვის თანხას არ გადაუხდის, მას სატურნირო ცხრილში 6 ქულას ჩამოაკლებენ. იგივე ბედი ელის „კუზბასს“, რომელმაც არ გადაუხადა ტულის „არსენალს“ ფეხბურთელ ტუზიკოვისთვის განკუთვნილი** თანხა.

## ჭადრაკის სამყაროში

**ცნობები ელისტიდან**

# ზევრ ქულას ვკარგავთ

პირდაპირ ვთქვათ, ელისტის ოლიმპიადამ არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა. მთავარი მოულოდნელობა მაინც საქართველოს ქალთა ნაკრების მძიმე მარცხია. მართალია, ჯერ კიდევ რჩება დრო, შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება. ვიეტნამის გუნდთან ჩვენი ქალების დამარცხების შემდეგ გავიმარჯვეთ ვენესუელის (3:0), ბოსნიისა და ჰერცეგოვინის (3:0) და პოლონეთის გუნდებთან (2-1).

საქართველოს ქალთა ნაკრებში თითქმის ყველა პარტიას იგებს მაია ჩიბურდანიძე, მაგრამ ვერც ერთი თანაგუნდელი მხარს ვერ უბამს მას. განსაკუთრებით შესამჩნევია ყველა ადრინდელ ოლიმპიადაზე ჩვენი „დამკვრელი დაფის" — ქეთევან არახამიას არასაკმარისი საბრძოლო მზადყოფნა. რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო დამარცხება რუსეთის ნაკრებთან — 1:2 (პირველ დაფაზე ჩიბურდანიძემ მოუგო სვეტლანა მატვეევას), მოულოდნელი თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთის უძლიერესი მოჭადრაკე ალისა გალიამოვა ელისტაში კი იმყოფება, მაგრამ თავის გუნდში თამაშზე უარი განაცხადა. იგი თვლის, რომ რუსეთის საჭადრაკო ფედერაციამ, და რაც მთავარია, თათრეთის სპორტულმა ორგანიზაციებმა არაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა გალიამოვა-სიუ ჟუნის მატჩი შემდგარიყო.

ახლა პირველ ადგილზე ჩინეთის მეტად ძლიერი და ახალგაზრდული ნაკრებია, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩინელების მიერ საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტ უკრაინის ნაკრების მშრალი ანგარიშით 3:0 დამარცხებამ. ამით ჩინელებმა ორი ქულით ჩამოიტოვეს მეორე ადგილზე მყოფი რუმინელები. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ადრეა იმაზე ლაპარაკი, მოიპოვებენ თუ არა ჩინელები ჩემპიონობას. ისე კი, მათი დიდი წინსვლა სრულიად ნათელი ფაქტია!

მერვე ტურში ჩინელებმა კვლავ გაიმარჯვეს და ახლა 20 ქულა აქვთ. საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 2,5:0,5 დაამარცხა ჩეხეთის გუნდი და 16 ქულა მოაგროვა.

ვაჟთა შეჯიბრებაზე ჯერჯერობით ასევე ბუნდოვანი სიტუაციაა. მეშვიდე ტურამდე ლიდერობისათვის ერთმანეთს ძირითადად აშშ-სა და რუსეთის პირველი ნაკრებები ებრძოდნენ. რუსეთის პირველ ნაკრებს, იმის მიუხედავად, რომ აქ არც კასპაროვი თამაშობს, არც კარპოვი და კრამნიკი, ოლიმპიადაზე მაინც ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. მან უშუალო შეხვედრაში მეხუთე ტურში შეძლო ამერიკელების დამარცხება — 2,5:1,5 და გადაასწრო მას, მაგრამ მომდევნო ტურში აშშ-ს ნაკრებმა მშრალი ანგარიშით — 4:0 დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი და ისევ დაიბრუნა ლიდერობა. ეს პოზიცია ამერიკელებმა უკრაინის ძლიერ ნაკრებთან ყაიმის — 2:2 შემდეგაც შეინარჩუნეს, რუსებმა კი საკმაოდ მოულოდნელად წააგეს 1:3 ბულგარელებთან (პირველ დაფაზე ტოპალოვმა შავებით 22 სვლაში მოუგო სვიდლერს). ამავე მეშვიდე ტურში საქართველოს ნაკრები დამარცხდა ბელორუსიის ნაკრებთან — 1:3. აქ საწყენი ისიც იყო, რომ არ თამაშობდა მეტოქეთა გუნდის აღიარებული ლიდერი გელფანდი, რომელიც აპირებს ისრაელის მოქალაქე გახდეს.

მერვე ტურში ჩვენი ვაჟების ნაკრებმა ყაიმით 2:2 ითამაშა ხორვატებთან და ახლა 18,5 ქულა აქვს.

# ფიდეს პრეზიდენტს 9 ოქტომბერს აირჩევენ

**ელისტაში მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) კონგრესი, რომელიც მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს განიხილავს და მოჭადრაკეთა ჯგუფს მაღალ წოდებებს მიანიჭებს.**

9 ოქტომბერს კონგრესის დელეგატებს მღელვარე დღე ექნებათ. მათ ფიდეს პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. ახლანდელ პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს ძლიერი ოპოზიცია ჰყავს. განსაკუთრებით კამათს იწვევს მის მიერ საუკუნეზე მეტ ხანს არსებული მსოფლიო პირველობის დებულების შეცვლა და ამ შეჯიბრების ყოველწლიურით შეცვლა. აგრეთვე დიდოსტატის წოდების სრული ინფლაცია. რა თქმა უნდა, ილიუმჟინოვს მრავალი მომხრეც ჰყავს, განსაკუთრებით მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების რიცხვიდან, რომელთა შემოსავალმაც მკვეთრად იმატა. რაც შეეხება მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს ფიდეს ვერსიით, ანატოლი კარპოვს, მისთვის ილიუმჟინოვი სრულიად მიუღებელია. მსოფლიოს მეორე ჩემპიონმა, მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს ვერსიით გარი კასპაროვმა ილიუმჟინოვთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა.

ვნახოთ, როგორ გამოვა საჭადრაკო სამყარო ამ აშკარა კრიზისული მდგომარეობიდან.

## ახალი ღონისძიებები ელისტაში

*ელისტაში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა განაცხადა:*

*— ელისტაში კიდევ ბევრი საჭადრაკო ღონისძიება ჩატარდება. 1999 წლის დასაწყისში ჩვენი „სიტი-ჩესი" დიდი საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს მიიღებს. გაზაფხულზე პრეზიდენტის თასი ჩატარდება, რომელსაც, მართალია, სხვა სახელი „ოსტაპ ბენდერის თასი" ერქმევა, მისი საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარი იქნება. შემდეგ ჩავატარებთ რუსეთის ჩემპიონატებს ვაჟთა და ქალთა შორის. მე უკვე შევუკვეთე ოსტაპ ბენდერის ძეგლი „სიტი ჩესისათვის". ქუჩას უკვე დაერქვა ოსტაპ ბენდერის სახელი.*

## სასამართლოში ჩივილს აპირებს

**გასაოცარი განცხადება გააკეთა მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვმა. იგი აპირებს სასამართლოში უჩივლოს ფიდეს და მის პრეზიდენტს კირსან ილიუმჟინოვს.**

*— ამა წლის იანვარში მე ლოზანაში მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, ეს წოდება ორი წლით მივიღე. ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ახალი იდეა წამოაყენა: მსოფლიო ჩემპიონატი ყოველწლიურად ჩატარდება. უკვე გამოირკვა ახალი ჩემპიონატის გამართვის დრო და ადგილი: მიმდინარე წლის დეკემბერი, ლას-ვეგასი. არც ჩემთან შეუთანხმებიათ რამე და არც მსოფლიოს წამყვან დიდოსტატებთან. ადრე „გარანტირებული იყო" ამ ჩემპიონატის საპრიზო ფონდი — 5 მილიონი დოლარი. ახლა იგი სამ მილიონამდე შემცირდა. ვფიქრობ, რომ ჩემი უფლებები, როგორც მსოფლიო ჩემპიონისა, შელახულია. თუ ახლა მსოფლიო ჩემპიონატის ეს ახალი დებულება დამტკიცდა, მე ჩემს უფლებებს სასამართლოში დავიცავ. ჩემი ადვოკატი ლოზანაში უკვე მუშაობს სათანადო დოკუმენტებზე.*

# „ჩვენ შევიცვლით ადგილებს"

***დღეისათვის 67 წლის ვიქტორ კორჩნოისა და მასზე 20 წლით უმცროს ანატოლი კარპოვს, არც მეტი, არც ნაკლები, სამი დიდი მატჩი და უამრავი საინტერესო პარტია აქვთ ერთმანეთთან ნათამაშევი. სამივე მატჩი, მათ შორის ორი მსოფლიო პირველობაზე, კარპოვმა მოიგო, მასვე აქვს უპირატესობა სატურნირო პარტიებში, თანაც საკმაოდ თვალსაჩინო.***

ახლა კარპოვი „რეიტინგ-ლისტში" მე-5 ადგილზეა, კორჩნოი კი 48-ზე. მაგრამ მთელი წლის მანძილზე ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა კარპოვს მეტად უფერული შედეგები აქვს, კორჩნოი კი ტურნირს ტურნირზე იგებს. ეს მომდევნო „რეიტინგ-ლისტში" აისახება, რომელიც პირველ იანვარს გამოქვეყნდება.

ახლა კორჩნოი მსოფლიოს პირადი პირველობისათვის ემზადება. კარპოვი კი ჯერ არ ამბობს, ითამაშებს თუ არა.

„სულ ცოტა დავიცადოთ, ორიოდე წლის შემდეგ კარპოვი 50 საუკეთესო მოჭადრაკის რიცხვშიც კი არ იქნება. ჩვენ შევიცვლით ადგილებს" — აცხადებს მუდმივი ოპტიმისტი ვიქტორ კორჩნოი.

## ხელბურთი

# ახალბედებივით „გვაბურთავეს"

დღეს, 9 ოქტომბერს კატალონიის დედაქალაქში ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალში „ბარსელონა" განმეორებით „წაეთამაშება" ჩვენი ქვეყნის რჩეულ გუნდს „სტუ-შევარდენს". სიტყვა „წაეთამაშება" იმიტომ ვიხმარეთ, რომ პირველ მატჩში ესპანელებმა ახალბედებივით „გვაბურთავეს", რაზედაც ანგარიშიც მეტყველებს 15:44. აფსუს, ხომ გახსოვთ ქართული ხელბურთის აღზევების პერიოდი. ვინ იფიქრებდა, რომ ოდესმე ასეთ დღეში ჩავვარდებოდით.

## ფარიკაობა

# პირველი მედლები გაითამაშეს

**შვეიცარიაში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში პირველი ოქროს მედლები მოიპოვეს დაშნით მოასპარეზეებში ფრანგმა იუკ ობრიმ, ხოლო რაპირისტებში — უკრაინელმა სერგეი გოლუბიცკიმ. ფინალურ ორთაბრძოლებში 21 წლის ობრიმ დაამარცხა შვედი პიტერ ლანკი 15:13, ასეთივე ანგარიშით 29 წლის გოლუბიცკიმ მოუგო კუბელ ელვის გრეგორის.**

**ქართველი მოფარიკავეები ჯერჯერობით წარუმატებლად გამოდიან.**

## ჩოგბურთი

# 20 უძლიერესი დღეისათვის



ვაჟები: 1. პიტ სამპრასი (აშშ) — 4015. 2. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 3575. 3. მარსელო რიოსი (ჩილე) — 3467. 4. კარლოს მოია (ესპანეთი) — 2962). 5. პეტრ კორდა (ჩეხეთი) — 28.15. 6. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — 2732. 7. ალექს კორეტჯა (ესპანეთი) — 2572. 8. ანდრე აგასი (აშშ) — 2545. 9. რიჰარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 2534. 10. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 2508. 11. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 2285. 12. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 2203. 13. იონას ბიორკმანი (შვეცია) — 2101. 14. გრეგ რუსედსკი (ინგლისი) — 1925. 15. იან სიმერინკი (ჰოლანდია) — 1837. 16. ალბერტო კოსტა (ესპანეთი) — 1823. 17. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — 1766. 18. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 1723. 19. თომას ენკვისტი (შვეცია) — 1654. 20. ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) — 1636.

ქალები: 1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 5496. 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 5470. 3. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — 4819. 4. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 3473. 5. ვინუს უილიამსი (აშშ) — 3015. 6. მონიკა სელეში (აშშ) — 2855. 7. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 2404. 8. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 2301. 9. პატი შნაიდერი (შვეიცარია) — 2274. 10 ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 1963. 11. მარი პირსი (საფრანგეთი) — 1948. 12. დომინიკ ვან როისტი (ბელგია) — 1926. 13. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1917. 14. ირინა სპირლია (რუმინეთი) — 1893. 15. აიი სუგიამა (იაპონია) — 1669. 16. ლაიზა რემონდი (აშშ) — 1612. 17. ნატალია ზვერევა (ბელორუსია) — 1569. 18. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1454. 19. სერენა უილიამსი (აშშ) — 1418. 20. ანკე ჰუბერი (გერმანია) — 1317.

## პროფესიული კრივის ამბები

# მოილაპარაკეს 23 იანვრისათვის

*როგორც მსოფლიოს ორმა მძიმეწონოსანმა ექს-ჩემპიონმა, ჯორჯ ფორმენმა და ლარი ჰოლმსმა მოილაპარაკა, მათი მატჩი 23 იანვარს ქ. ჰიუსტონში (აშშ) გაიმართება.*

ამ ოდესღაც დიდად პოპულარული მოკრივეების შეხვედრა დიდ ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, მათი ასაკის გამო იწვევს. საქმე ის არის, რომ ასეთ ასაკში მოკრივეებს უკვე კარგა ხანია თავი დანებებული აქვთ ბრძოლისათვის. ორივე, ერთად აღებული... 99 წლისაა!

ჯორჯ ფორმენმა, რომელიც მეტოქეზე ოთხი წლით უფროსია, სულ თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე 81 ბრძოლა გამართა. აქედან მოიგო 76 და ხუთი წააგო. 1973-74 წლებში მსოფლიო ჩემპიონი იყო, 1974 წლის 30 ოქტომბერს ეს წოდება ლეგენდარულ მუჰამედ ალის დაუთმო. შემდეგ კრივს თითქოს ჩამოშორდა, მაგრამ 45 წლის ასაკში კვლავ დაუბრუნდა და ისევ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება მძიმეწონოსნებს შორის WBA-ს ვერსიით. ლარი ჰოლმსი მსოფლიო ჩემპიონი 1978-1985 წლებში იყო. მას 66 გამარჯვება და 6 დამარცხება აქვს.

ამ მატჩისათვის ფორმენი 10 მილიონ დოლარს მიიღებს ჰონორარის სახით, ჰოლმსი კი — 4 მილიონს.

# ოსკარ დე ლა ჰოიას შვიდწლიანი კარიერა

*„ოქროს ბიჭი", ოსკარ დე ლა ჰოია კრივის სამყაროში რეკორდს რეკორდზე ხსნის. მან დღემდე 29 მატჩი ჩაატარა. ყველა მოიგო, აქედან 24 ნოკაუტით. ამჟამად იგი აცხადებს, რომ თანახმაა ყველა ღირსეულ მეტოქეს შეხვდეს. ამასწინანდელი მეტოქე, მექსიკელი ხულიო სესარ ჩავესი გამარჯვებულმა ასეთად არ მიიჩნია.*

— ვფიქრობ, ყველა კრიტიკულ შენიშვნას ვუპასუხებ, თუკი 21 ნოემბერს ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონის წოდებას დავიცავ ახალი პრეტენდენტის აიკ კვორტის (განა) წინააღმდეგ WBC-ის ვერსიით. განელ მოკრივეს სპორტულ სამყაროში მყარი რეპუტაცია აქვს. ათწლიანი პროფესიული კარიერის მანძილზე მან 35 ბრძოლა გამართა, აქედან 34 მოიგო, ერთი კი ფრედ დაასრულა. 29 შეხვედრა კვორტიმ ნოკაუტით მოიგო.

მაშ ასე, ორი უძლეველი მოკრივე...

# კროსვორდი









**თარაზულად:** 5. „იუვენტუსის" ნახევარმცველი, 7. ფიფას პრეზიდენტი, 8. 70-80-იანი წლების ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 11. ველოსტადიონი, 12. ალბანეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 13. ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების მცველი 70-იან წლებში *(ფოტო)*, 16. „ნიუკასლის" ჰოლანდიელი მწვრთნელი, 17. ცნობილი ოდესელი მოჭადრაკე, 21. სახელგანთქმული შვედი ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 22. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 23. ახლო წარსულში შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 26. 70-80-იან წლებში სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 27. 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბომბარდირი, 28. „ინტერის" ახალგაზრდა ფეხბურთელი, თავდამსხმელი.

**შვეულად:** 1. მოსკოვის „დინამოს" მეკარე 70-80-იან წლებში, 2. წარსულში „ინტერის" სახელგანთქმული არგენტინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 3. წარსულში ცნობილი ბალტიისპირელი მოჭადრაკე, მიმომხილველი, 4. 70-იან წლებში გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 6. „ბაიერნის" საფეხბურთო მწვრთნელი 80-იან წლებში, 9. წყალქვეშა ცურვისათვის მოწყობილობა, 10. ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე 80-იან წლებში, 14. სპორტული შეჯიბრების დასრულებული ნაწილი, 15. „სკუადრა აძურას" თავდამსხმელი, 18. წარსულში კიევის „დინამოს" მცველი, ერთ დროს ლანჩხუთის „გურიის" მწვრთნელი, 19. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 20. პოპულარული გერმანული ჟურნალი, 24. ფეხბურთი იტალიურად, 25. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი ფეხბურთელი, მცველი *(ფოტო)*.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ფოტოგამოცანის პასუხი:**

1974 წ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მომენტი გფრ — ჰოლანდიის ნაკრებებს შორის. გერდ მიულერის გოლი (ზედა სურათი). 1993 წ. შოთა არველაძის გოლი „ლინფილდის" კარში უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩში (სურათზე, ქვევით).

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი

(თბილისი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლe8! – 2. ლc6X, 1. ...ლ:e4 2. მf4X, 1. ...ე:e4 2. მe3X, 1. ...მფ:e4 2. მ:e1X, 1. ...მ:e4 2. ლe6X, 1. ...მd7 2. ლa8X, 1. ...ლ:f6 2. ეd4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე